

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით


ფასი 1,50 ლარი

23 იანვარი 2009 №2(80)







1516  
2009

წელიწადი წიგნებთან  
გელა ჩქვანავას ნოველა  
მანანა ჩიტიშვილის ლექსები  
ვახტანგ ჭელიძის მემუარები  
ამერიკული წინასწარმეტყველება  
ნოდარ ებრაღიძის სპორტული ეტიუდი



# „ინტელექტი“ გთავაზობთ





5 თებერვალი  
ელენე ყიფშიძის დღე



### შინაარსი

პრი და პაღმწარა	2	პაატა ჩხეიძე რა გვინინასნარმატყველა სავსულ პანტინგატონა?
მასარს-ინაბარევი	3	ქართველი ტარტარენის ნაკაპაქვაზა, ათი წლის შამდაგ... (ქარდა ქარდუხს ესაუბრება ბადრი თეეზაძე)
ნაშარკვი	5	ინგლისო, ჩამო ინგლისო!
პროზა	6	გელა ჩქვანავა საზამთრო
ნაშარკვი	13	რამდანი წლისა ბრანდავით?
აოუზია	14	მანანა ჩიტიშვილი ცრეპლში ნაპოვნი სიმღარები
უხროთის ცროვარიდა	18	პევი ნუნანი ნაღინადი ნიგნავთას
დრუშენბერი პროზა	19	ვახტანგ ჭელიძე შიში ქალაქში (მოგონებათა ბოლო თავი)
ღაბრარბრნი	31	როსტომ ჩხეიძე ტინაში შიქარი (მიხეილ ჯავახიშვილის საუბრისინგნაკო ჩანანერები)
რავრარბი	37	ეკა ბუჯიაშვილი სამშობლო, როგორც ბაკანი (ლიანა ელიაშვილის ასიყვარულის მისტერიები?)
რომოდ სირაბა	41	საბა სულხანიშვილი შურცილი კულარებიდას (ვინ არის ავტორი?)
კრიტიკა	42	როცა ღაბარაკია მნარაღა
ღაუვიშარი სანაღაბი	46	გიორგი გოგლაშვილი „ჩვენი შენი ვალოვოტი ჩვენს უნივერსიტატს...“ (იოსებ ყიფშიძე)
გაგონაშარბა	49	ვასილ კიკნაძე ნიშიფ და პოზიციაც (ზევიდ კვარაცხელია)
საორობი	51	ნოდარ ვერალიძე ცხანავოტი პირმხინარულად უნდა ითავაშო
ჩანახბი	54	მამუკა დოლიძე დანიქო
აოუზიის შარიღინაბი	55	XX საუკუნის იტალიური დილაქტური პოეზია (ვირჯილიო ვოტი, ალბინო პიერო, ტონინო გუერა)
უხროური ნოვდა	57	ვასილი შუკუშინი დედის გული
მოხარბა	63	ქართველი პროფესორი ვორკუშაში

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია - (995 32) 96-20-62

რეკლამა - (995 93) 65-93-68

გავრცელება - (995 99) 41-95-21

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი - ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი - მაკა ჯობაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი - თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი - კარლო ფაჩულია დიზაინერი - მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი - ნინო დუკანოიძე დეკორაციონება - თენგიზ რობიაშვილი

ოპერატორი - თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი - ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური - ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ეკა ბუჯიაშვილი, მურმან ჩაჩუას ფოტოგრაფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 6 თებერვალს

პაპა ჩხეიძე

## რა გვინინასწარმეტყველა სემუელ ჰანტიგბტონმა?

2008 წლის მინორულს, 81 წლისა, გარდაიცვალა განხორციელებული ნიგნის, "ცივილიზაციითა შეჯახების", ავტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, სემუელ ჰანტიგბტონი. მისი ნიგნი, სრულად, 2005 წელს ნაეცივით ამერიკის კათოლიკურ უნივერსიტეტში მუშაობისას და, რაკი ცოტა უკმაყოფილო დავრჩი იმით, რომ ნიგნი საქართველოსთვის რუსეთის გაეფლვის ქვეშ დარჩენა ნანინასწარმეტყველები, წერილი მივწერე. პასუხი არ მომიღია და ვიფიქრე, ღირსად არა მცნო-მეთქი; დღეს უკვე ვიცი, რომ იმ დროს უკვე მიმძღვ იყო აეად და ძალზე ცოტას კითხულობდა და წერდა.



მისი ბოლო ნიგნის სათაურია "ვინ ვართ ჩვენ? ამერიკული თვითმყოფადობის ზეგბი". ნიგნი ოთხი წლის წინათ გამოქვეყნდა და კვლავ აზრით სხვადასხვაგვარა განიზივია. ამიტომაც განმარტავდა დიდი მეცნიერი, ამ ნიგნის საკუთარი თვითმყოფადობის დადგენას ცედილობ და, როგორც პატრიოტს, მეტად შადრდებს ჩემი ქვეყნის, როგორც თავისუფლებანზე დაფუძნებული საზოგადოების, ერთიანობა და ძლიერება, თანასწორობა, სამართლიანობა და პიროვნების უფლებებობი.

ჰანტიგბტონს არსადღეს ემიწიდა თავდასხმებისა, პირიქით, თვითონ ემებდა შეტაკების საბაბს და ამის დასტურია მისი ბოლო ნიგნი.

"ამერიკულ კრედოს" ამერიკის ელიტარულ წრეებში ლპობა შეეპარაო, ამბობს იგი. იძლება ისეთი ძირეული ელემენტები, როგორიცაა, ინგლისური ენა, ქრისტიანობა, რწმენა, ბრტყანულზე დაფუძნებული სამართალი, მმართველობა პასუხისმგებლობა და პიროვნების უფლებები. მისი აზრით, ინგროც ის, რაც მომდინარეობს XVII-XVIII საუკუნის ამერიკის დაამფუძნებელი ანგლო-პროტესტანტებისაგან.

კრიტიკოსებმა არ დააყოვნეს და ნაციონალიზმში დასდეს ბრალი, მაგრამ ის კი ვამორჩათ, რომ ჰანტიგბტონი ნაკლებად ეხება ანგლო-პროტესტანტებს, როგორც ხალხს, და საუბრობს ანგლო-პროტესტანტული კულტურის მნიშვნელობაზე. ამ დიდი რესპუბლიკის წარმატება, ამბობს ჰანტიგბტონი, ეყარება ძველ ღირებულებებს დამფუძნებელი ხალხისა და დამფუძნებელი მამებისა, რასაც საფრთხეს უქმნის გლობალიზაცია და მულტიკულტურნიზმი, ემიგრანტთა ახალი ტალღები, რომელთაც საერთოდ არ ემსაით, თუ რას ნიშნავს ამერიკის ეროვნული თვითმყოფადობა. "ვარსკლავები და ზოლები დაბლა და-

ეშვა და სხვა დროში ფრიალებენ ამერიკული დროშის ტარზე", წერს იგი.

ჰანტიგბტონი წუხს კოსმოპოლიტიზმის მოძალებანზე ამერიკაში, რასაც სამი მიმართულება აქვს: გარედან მოსული, იმპერიული და შიდა ანუ ნაციონალური. პირველი მსოფლიო ამერიკის ზპირებს გარდაქმნას, გლობალიზაცია და მულტიკულტურიზმი საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას. მეორის საძაღლებით ამერიკა, როგორც მძლეძამლე სუპერსახელმწიფო, გარდაქმნის მსოფლიოს, თავს ახვევს საკუთარ ღირებულებებს, დემოკრატიულ

ნორმებსა და მისწრაფებებს. შესამე გზის მიხედვით, ამერიკა რჩება ამერიკად; დაძლევის მლიქვნელობასა და სიყალბეს კოსმოპოლიტიზმისა, ლაგამს ამოდეებს იმპერიულ მისწრაფებებს. ჰანტიგბტონი არ მალავდა თავის ნატურას, ეხილა ამერიკული ნაციონალიზმი, შეენარჩუნებინათ და გაეძლიერებინათ ის თვისებები, რამაც განსაზღვრა ამერიკის სახე, დაფუძნების დღიდან. რეალიზმის მისეული მძაფრი გრძნობა ვერ ეგუებოდა კლინტონის ეპოქის გლობალისტურ ტენდენციებს. "დასუსტობა" კულტურა, გლობალურ ელიტას რომ შეარქვეს სახელად, დამორდა ეროვნული ნიდაღის მშობლიურ განცდას.

იგი სექტიკურად უყურებდა ამერიკის "ექსპედიციას" ერაყში, განსხვავებით იმ ამერიკელი "კონსერვატორებისაგან", ვინც ირწმუნეს ამერიკის იმპერიული "მისია". მან განტყრიტა უცხო ქვეყნების "დემოკრატიზაციის" კრები. მისი აზრით ამერიკელი ხალხი მხარს არ დაუჭირებდა ამ პროექტს და ეს მიაჩნდა "დემოკრატიის პარადოქსად".

დემოკრატიული ექსპერიმენტები აღვივებენ პოპულისტურ ნაციონალიზმში მოძრაობებს, ვთქვათ, ლათინურ ამერიკაში, ან ფუნდამენტალისტურ მოძრაობებს, ვთქვათ, მუსლიმანურ ქვეყნებში. მსოფლიო გემოს უსინჯავს უცხო ძალაუფლებისა და უყუავდებს მას, ფიქრობდა ჰანტიგბტონი; მას არც მონანიებისა სჯეროდა, არც ფუში იმედებით იმშვიდებდა თავს.

1990 წელს, როდესაც დაფიქსირდა შერევილი ჯგუფი უსაზღვრეობი მსოფლიოსა და შუზღუდავ ძალაუფლების ზეიმობდა, როდესაც ფრენისს ფუკუიამა ისტორიის და-სასრულს წინასწარმეტყველებდა, ჰანტიგბტონმა აკადემიური წრე გამოარღვია და დამო გლობალური განახლება, თავისი "ცივილიზაციითა შეჯახებით", რაც ჯერ წერილის სახით გამოქვეყნა 1993 წელს და შემდეგ ნიგნი



განჭვრიტა ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს ბედი, იდეოლოგიების ბრძოლის გადაზრდა მინებისა და სისხლის შეჯახებაში, რასაც ცივილიზაციათა შეჯახება უწოდებდა.

მისი აზრით დასავლეთს მოუწევდა შეჯახება რვა ცივილიზაციასთან: ლათინური ამერიკისა, აფრიკისა, ისლამისა, ჩინეთისა, პინდუსი, მართლმადიდებელურისა, ბუდისტურისა და იაპონურისა.

ცივილიზაციათა ამ ბრძოლაში დასავლეთის მთავარი მეტოქე იხლამი იქნება. ისლამსა და ქრისტიანობას — მართლმადიდებლური იქნება თუ დასავლური — შორის ურთიერთობა უფრო ხშირად მძივნავარ და შურეიგებელი იყო. ისინი ყოველთვის უცხოში იყვნენ ერთმანეთისათვის.

XX საუკუნის კონფლიქტი ლიბერალურ დემოკრატიათა და მარქსიზმ-ლენინიზმს შორის, წარმავალ და ზედაპირულ ისტორიულ ფენომენად მოჩანს, ისლამსა და ქრისტიანობას შორის წარმართულ გრძელსა და ღრმა კონფლიქტთან შედარებით, ნერდა სემუელ პანტინგტონი.

გი არ ეუბნებოდა ეპოქის სულს. მსოფლიომ აღიარა მისი სიდიდე. მისი წიგნი ორმოცამდე ენაზე ითარგმნა. მისი კრიტიკოსები მაინც დაიჩინებდნენ, ხალხს მაღალი ტექნოლოგიები ურჩევნიათ მშობელ მინასო; მაგრამ 11 სექტემბრის მომხდომმა მუსლიმებმა გააფანტეს ეპოქის ილუზიები და პანტინგტონის წინასწარმეტყველების სისწორეც ყველასათვის ცხადი გახდა.

აქსპანს-ინტარპიუ

ქართველი ტარტარენის ნაკვალევზე, ათი წლის შემდეგ...



ქარდა ქარღუსს სასუბრეა ბადრი თევზაძე

მოკტი და ფრანგული პოეზიის მთარგმნელი ბადრი თევზაძე ახლახან დაბრუნდა საფრანგეთიდან. ეს უკვე შესაძლებელია...

ამ ქვეყანაში პირველად ყოფნის შემდეგ ბრწყინვალე მხატვრულ-ლოკუმენტური წიგნი, "პარიზში წასვლას რა უნდა?" აჩუქა მკითხველს.

მეორედ მოგზაურობის შემდეგ ფრანგული თეატრის ვიდეოჩანანერები ჩამოიტანა, რომელსაც აჭარის ტელევიზია უშვებდა ბადრისა და მის მიერ მოწვეული სხვადასხვა სტუმრის საგულისხმო კომენტარებითა თუ მიმოხილვებით.

შესამდე კი მის საფრანგეთში ყოფნასა და საერთოდ ბევრ რამზე გადაწყვეტილი თეოთი გაესაუბრებოდი. ვიშვადრებთ, „ჩვენი მწერლობის“ მკითხველსთვის, ვინც კარგად იცნობს ამ მწერლის შემოქმედებას, სანტერესო იქნება ბადრი თევზაძესთან ეს სახელდახელო დიალოგი.

— ბადრი, ამჯერად როგორ მოხდა საფრანგეთში თქვენი გამგზავრება?

— საერთოდ საფრანგეთსა და რამდენიმე სხვა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს გარკვეული პროგრამა, რომელსაც ახორციელებენ ამ ქვეყნების კულტურის სამინისტროები და წიგნის სახლები. მე წავედი იმ კონკურსის შედეგად რომელსაც აცხადებს საფრანგეთის კულტურის სამინისტრო და საფრანგეთის წიგნის საერთაშორისო სახლი. ამ კონკურსში მონაწილეობა შემომთავაზა საფრანგეთის საელჩოს ყოფილმა კულტურის ატაშემ ფრანსუა ლორანამ. შევადგინე პროექტი, შევაგროვე ყველა საბუთი და დაველოდე შედეგს.

— როგორი იყო კონკურსის პირობები?


— უნდა შეგერჩია ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც თარგმნიდი და დაეცაბათუბინა, თუ რა სარგებლობა მოაქვს საფრანგეთში ყოფნასა და მუშაობას თანარმოების თარგმნისთვის. საჭირო იყო სხვა მონაცემებიც იმის შესახებ თუ რა გაგიკეთებია ამ კუთხით და ასე შემდეგ, სადღაც თებერლის ბოლოს მოვიდა დადებითი პასუხი, სტიპენდიაც საკმაოდ მაღალი იყო — თვეში 1800 ფულა, რაც ამჟამად ინტელიგენტისათვის საკმაოდ კარგი ფულაა.

— როდის ჩახვედით?

— მათის დასაწყისში, სადღაც შუა ივლისამდე ვიყავი, აგვისტომდე შემეძლო დარჩენა, მაგრამ ისევ ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ვარჩიე ჩამოვსულიყავი და დარჩენილი სამუშაო აქ დამესრულებინა, ხოლო რისთვისაც იქ ყოფნა აუცილებელი იყო, საფრანგეთშივე ვაგრძელებდი თავი. სხვათა შორის, ძირითადი სამუშაოს განაგრძელებდი ეთარგმნე 1961 წელს გამოცემული ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის შესავალი, რომელიც დანერვილია საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტის ჟორჟ



საქართველოს კარლამუნდის ქარღუსის ბიბლიოთეკა



პოპილუს მიერ და აღფრთოვანებული დღეგრძელობის ლიტერატურის და საერთო კულტურის ღრმა შეგრძნებით, რომელიც ამ პოლიტიკურ მოღვაწეს უკონდა, და რომ არ გვეყოლოდა ზეიად გამახსურდია, ვიტყვი "ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი გამავრჩევს მამულში-მთქი".

— ხომ არ სჯობდა, თავის დროზე დაენებებინა თავი პოლიტიკოსის?

— ვის?  
— პოპილუს.  
— რატომ უნდა დაენებებინა, მისი პრეზიდენტობისას ამერდა პოპილუს ცენტრი, რომელიც დღესაც უამრავ ადამიანს აძლევს სერიოზული მუშაობისა და განათლების მიღების საშუალებას

— სად ცხოვრობდით?  
— პირველი ოცი დღე პარიზში ვაჯატარე, ჩემს ყოფილ დიასახლისთან, ჩემს ფრანგ დეოზობილიან, ქალბატონ რიზმარი შოლდერთან, მაგრამ მივხვედი, რომ პარიზში ვეღარ ვიმუშავებდი, მიხდოდა, რომ ყოველდღე დამეყო ეს ქალაქი... როცა კონკურსში გავიმარჯვე, პარიზში მითითებული იყო საფრანგეთში არსებული რამდენიმე შემოქმედებითი სახლი, სადაც შემეძლო მივსულიყავი და შემუშავა, იქ კი ვესაბიძგე მხურვალე. პარიზში ვატარებელი ოცი დღის შემდეგ გადავწყვიტე ნავსულიყავი შემოქმედებითი სახლი. ნიცასთან ახლოს, ზღვისპირეთის ალპებში, არის საორჟის მონასტერი. იგი ფრანკისკელებს ყოფილი მონასტერია და ოცი წლის წინათ გადაეცა სახელმწიფოს, სახელმწიფომ კი გადასცა მწერლებს. სხვათა შორის, სამოცდათორმეტე მუტი საორის დავთვალე საფრანგეთში მწერლებისა და მთარგმნელებისთვის. ფრანგულ ლიტერატურას ხომ ნამდვილად არ აჯლია სახელი და მაინც ამდენი სასწრები იხარჯება მისი პოპულარიზაციისათვის. იქ მარტო ჩვენ, მთარგმნელები, არ ვიყავით. იყვნენ ფრანგი მწერლებიც, რომელთათვისაც ორი-სამი თვით ნასალა მყოფდნო სიტუაციამ, სადაც მუშაობა ცხოვრებისეული პრობლემების გარეშე კარგად მიდის, ჩვეულებრივი ამბავია. საორის მონასტერი, რომელიც გადაცემული აქვთ მწერლებს და მთარგმნელებს, იქცა გარკვეულ კულტურულ ცენტრად იმ რეგიონისთვის. იმ მწერლ დროში, რაც მე იქ ვაგავართ, რამდენიმე მნიშვნელოვან ლექცია, მუსიკალური თუ ლიტერატურული საღამო და ექსკურსია გაიმართა. ამ ყველაფრის ცენტრი არის საორის მონასტერი

— დაივიწყებ, საბიუჯეტო სახსრებით ფინანსდებიან ეს სახლები?

— ნამდვილად საბიუჯეტო სახსრებით ფინანსდებიან, თუმცა არც კერძო ფონდებს სწულობენ.

— რაღაც საბჭოთა შემოქმედებითი სახლები გამახსენდება... თუ მოგსწრებით ის პერიოდი?

— მე სამბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ სახლებში არ მომწევიყო ყოფნა, მაგრამ ის, რაც ენაზე საფრანგეთში, არის ძალიან კარგი, და ვისურვებდი, რომ საქართველოც იყოს რამდენიმე ასეთი სახლი, სადაც მწერლებს შეეძლებათ რამდენიმე თვით მოსწყდნენ ყოფით გარემოს, დასაბუნდ და იმუშაონ, ამაში არაფერი არ არის ცუდი, მთავარია, სახელმწიფო ამას არ განაკლებს. საფრანგეთში სახელმწიფო ამასი არ ერევა, არის გარკვეული კოორ-

დინაცია კულტურის სამინისტროსა და წიგნის საერთაშორისო სახლს შორის, არის ყოფილი, კომისია და ის ლებულობს გადაწყვეტილებას.

— ბადრი, უშუალოდ რა თარგმნით იქ, რაზე მუშაობდით?

— დაავამთავრე ფრანგული პოეზიის ანთოლოგია, მეტერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული დღევანდლამდე. ცოცხა მუშაობა დამჭირდება და სულ მალე შევეცდები გამოსაცემად მოვაზადო. საფრანგეთში ძირითადად მუშა-საუკუნეების პოეზიაზე ვმუშაობდი, ერთადერთი ვიოინი მიქმნის უხერხულობას, იმდენად კარგად აქვს დავით ნერედიანის თარგმნილი...

— უამრავი მაგალითია, — ამერიკული ნიმუში შემიძლია დავასახელო, — როცა ემილი დიკინსონის ერთ-და იგივე ლექსი რამდენიმე ავტორსა აქვს თარგმნილი, ახლანაზ ნიგნადაც გამოვიდა და ნათელია, რომ ეს ვარიანტები საერთო ჯამში ავსებენ ერთმანებს...

— საქმე ისაა, რომ იმდენად მიყვარს ნერედიანისეული ვიოინი... და თან ისე გამჭედარი მაქვს მისი რიტმი შინაგანად, რომ ახლა გამიჭირდება შევეცვალო ინტონაცია, თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ ნერედიანს არ ვგავამე. არადა, ანთოლოგიაში აუცილებლად უნდა მქონდეს ვიოინის ერთი-ორი ლექსი.

— თანამედროვე ფრანგული პოეზია რომელ პერიოდამდე ვაქვთ თარგმნილი?

— 80-იან წლებამდე...

— უახლესი პოეზია, უფრო თანამედროვე?

— უახლესი, თანამედროვე მაინც ცალკე საშუალო თემა, თანაც მარტო მაგაზე უნდა იმუშაო ადამიანმა, რომ ღრმად გაეკრე თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში: რა მიმდინარეობებია, რა ტენდენციები, მარტო ამაზე უნდა იყო გადათვლა.

— მაინც რა ტენდენციებია?

— ერთი თვალის გადავლებით შეიძლება მოგეჩვენოს, რომ თანამედროვე ფრანგული პოეზია ძველის ანტილიც არ არის და ძარღვი გამოცლილი აქვს, მაგრამ ეს ზერეულე გადახედვით: უცხოელი რამდენიმე თვის განმავლობაში რაღაცებს რომ ნაიკითხავს, ამით თანამედროვე ფრანგულ პოეზიაზე ბევრს ვერაფერს ვერ იტყვის.

— თომას მანს სწერს ინგლისელი მთარგმნელი, შენი ნაწარმოები მოკალიო, ხომ არ გეკონია ეს შეგრძნება ბუმბერაზი ფრანგების თარგმნისას?

— არა, გულწრფელად ვამბობ, რომ არა, ზედმეტი თავმდალობის გარეშე, თუმცა ეს სრულიადაც არ არის კარგი, ვცე იგი რაღაც მაკლიო... და ვერ ვხვდები.

— რამდენად ახლოს შეიძლება იდგეს თარგმანი ორიგინალთან?

— უნდა იდგეს ახლოს; შეიძლება ადამიანმა საკუთარ შემოქმედებაში ვერ მიადნის იმ სიმაღლეს, რასაც თარგმანში.

— ხშირად ამბობენ, მთარგმნელობა არის უშადღური შრომაო; თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?

— დავიწყებ იმით, რომ თარგმნიდნენ ისეთი დიდი პოეტები, როგორც იყო პოდლერი, — ედგარ ალან პოს შემოქმედება ფრანგებს სწორედ პოდლერმა გააცნო, —



ვერარ დე ნერვალი — თარგმნიდა გოეთეს და ამით მის შემოქმედებას არაფერი არ დაკლებია. ერთიც არის, როცა საკუთარი არ გუნერება, ამ დროს ბრწყინვალე საშუალებაა სხვის სამყაროში ინავარდო და იქ მოიბრუნო სული, მეორეც, ისეთი პატარა ერისთვის, როგორიც ჩვენია, აუცილებელია, რომ მთარგმნელები გვეყვდეს ბლომად, და სხვათა შორის არც ვუჩივთ მათ ნაკლებობას; ჩვენს ხალხს უცხოური ლიტერატურის საკმაოდ სოლიდური ბიბლიოთეკა აქვს შექმნილი. ფრანგულიდან თარგმანს რაც შეეხება, ძალიან მიყვარს, როგორც ეთქვი, დავით ნერვალიანის ფრანსუა ვიოიზი, გივი გვეტქუორის აპოლინერი, კლიადელი...

— ბადრი, თქვენ ბრწყინვალედ თარგმნეთ მალარმეს "პეროდოდე", პირველად ვახუთ "ჩვენს მწერლობაში" დაიბეჭდა, მერე შევიდა კრებულში "ლიმთავცენა". როგორ შეეძინათ ამ ურთულეს ტექსტს, თუ გაიხსენებთ?

— როგორ გიხიბრათ, რადაცნარიად რთული პერიოდი მქონდა, ვიჯექვი შინ, გარეთ გამოსვლა არ მინდოდა. მანამდე მალარმეს სინტაქსი იყო თითქმის გაუგებარი, ბოლომდე ვერ ვხსნიდი, ბნკარდასკ ვერ ვაკეთებდი. ყველა სიტყვა გასაგებია, მაგრამ ისეთი დახლართული სინტაქსი აქვს... უცებ მოხდა, ერთ დღეს რომ გაიხსნა რაღაც, ყველაფერი დაიწიბებ, ვიგრძენი და გიყოფით შეუღდექი შუაშობას; მთელი პოემა რამდენიმე დღეში დავამთავრე.

— რომელი იყო თქვენი პირველი წიგნი?

— ეს იყო 1981 წელს გამოცემული "უკვე ჩადაგ ქარი", ამას მოჰყვა "დღემი დღეები", შემდეგ 13 წელი არაფერი გამოვიტყა, 1998 წლიდან დაიწყო: "ფრანგული პოეზიის მცირე ანთოლოგია- XIX საუკუნე", "პარიზში წასვლას რა უნდა", "100 ფრანგული ლექსი" და "ლიმთავცენა".

— რომელი წიგნი გიყვართ ყველაზე მეტად?

— ალბათ პირველი, იმიტომ, რომ პირველია. ძალიან პატარა კრებული იყო, სულ 28 ლექსი შედიოდა, — "უკვე ჩადაგ ქარი".

— დიდი გამოხმაურება მოჰყვა თქვენს პროზაულ ნაწარმოებს "პარიზში წასვლას რა უნდა?" რომელიც ძალიან პოპულარული იყო საქართველოში, პარიზში შენს პირველ ჩასვლას და ყოფნას რომ ეხება; ოთარ ჩხეიძის წერილიც მაგონდება, საგანგებოდ რომ გააანალიზა ეს მსატრულ-დოკუმენტური თხზულება ირმა პარტიანის "იაპონურ დღიურთან" ერთად. რამ გაიმონებია ეს გამოხმაურება, თქვენი აზრით: მხოლოდ იმან, რომ უცხოეთის ყოფა და უცხოური ეგზოტიკა შემოქმენდა თუ არის კიდევ სხვა რამ?

— ალბათ მარტო ეს არ იყო, პირველ რიგში, ალბათ, წიგნის გულწრფელობა.

— გულწრფელობა თქვენს არც ერთ წიგნს არ აკლია...

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, როცა იმ წიგნს ვწერდი, ბევრი საწერეულო მქონდა, მაგრამ ყოველ შაბათს აუცილებლად უნდა ჩამებარებინა მორიგი ნაწილი ვახუთ "აჭარის" რედაქციაში, ბაბოზ ალექსანდრე სამსონიასთვის...

მთლიანობაში სასიკეთოდ გამოვიდა — ასე სერიალივით წერამ ნაწარმოებს დინამიურობა მიანიჭა.

— რამდენად გავიგე, ამ წიგნის მიხედვით ვადაილეს ფილმი, პარიზში...

— დიას, 2004 წელი იყო, როდესაც პარიზიდან დამირეკეს ანბის შესახებ და ნებართვა მთხოვეს, ბუნებრივია, დავეთანხმე, რომელი გივი იტყვოდა უარს...

როდესაც მე მეორედ, 2006 წელს, აჭარის ტელევიზიის გადაძღებ ჯგუფთან ერთად ვიყავი პარიზში, ვეცადე მენახა ეს ფილმი, მაგრამ ვერ მოვახერხე, ახლა კი, როცა საფრანგეთში ვიზიტს ვმთავრებდი, შევხვედი რეჟისორს, ეს გახლავთ ქალბატონი თეონა გრენაიდი, რომელიც ქართულია, აქედან წასულმა იქ გააგრძელა სწავლა და უკვე ჩაერთო ფრანგულ კინემატოგრაფიაში.

ესაა დაახლოებით დოკუმენტური ფილმი; ასე ჰქვია "ათი წლის შემდეგ ქართველი ტარტარენის ნაკვალევზე". ეს სათაური მოდის ჩემი წიგნის, "პარიზში წასვლას რა უნდა", ფრანგული ვერსიიდან: "ქართველი ტარტარენი პარიზში".

— წიგნი ფრანგულად ითარგმნა?

— წიგნი თარგმნილია, მაგრამ ჯერ გამოცემული არაა.

— მოგწონათ ფილმი, როგორც გმირს, თუ გმირის პროტოტიპის?

— მომიწონა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩემს წიგნზეა გადაღებული, სასიამოვნოდ ელამებოდა პატივმოყვარეობას... (იცინის) კარგადაა ავტორის ჩანაფიქრი გახსნილი, აქედან ჩასულა ათასი სიმწიფის გადაღება რომ ვახუთება, მერე დაამატავია და მერე როგორ ევაზოვებ ერთმანეთი მე და პარიზში.

— წიგნზეა უფრო თუ ავტორზე?

— უფრო წიგნზეა, უბრალოდ გამოყენებულია იმ ადამიანთა ჩართვა, რომლებიც მე პარიზში მივმოხვე.

— პარიზში პირველი ნაწარმოები იყო?

— პირველი დაბეჭდილი, პატარა-პატარა მოთხრობები ადრეც მქონდა...

— კიდევ ხომ არ გაქვს რამე ახალი ჩანაფიქრი?

— ისეთი განცდა მაქვს, რომ რაღაც სერიოზული ანი უნდა დაფიქრო, რა ვიცი... ღმერთმა უწყის...

ნახტობი

ინგლისი, ჩემო ინგლისო!

ამას წინათ ერთმა მისტიკალიზაციების მოყვარულმა ინგლისელმა ფრანკლისტმა ცხრამეტ გამომცემლობას დაუწვანა ხელნაწერი ჯეინ ოსტინის რომანისა „სიამავე და წინასწარწმენა“.

ამ ქმნილებას უწოდებენ XIX საუკუნის საუკეთესო სატრავალი რომანს.

მისტიკალიზატორმა თვრამეტი გამომცემლობიდან უარი მიიღო, განმტკიცესო ნაწარმოები არ არისო.

ერთმა საინტელექტუალმა კი მოიბოღმა, რომანს არა უშავს-რა, მაგრამ ჩვენს პროფილს არ შეესაბამებაო.



გელა ჩვენავა

# საზამთრო

სათვლიან მოხუც ხელისანს სარეცხი მანქანის ავზის წყლის დასატრიალებელი დოლურა დაეშალა და, სანამ მისი ღერძიდან ჩაშლილ საკისარს ამოაძრობდა, ისე დააცქერდა, თითქოს სივოცხლეში პირველად ხედავდა.

— ეშველება? — შკითხა მას საბაზანოს კართან ატეულულმა ოჯახის დიასახლისმა, ბუჭურად თმამუჭრილმა ხათუნამ, ბუჭაფორულ, ზომამზე მტვად გაბნერილ სამხრეებს რომ იყოლიებდა კაბებისა და კოფტების ქვეშ და ოდნავ ნალელიანი თვალები შკითხდა.

ხელსანსმა დიასახლისი სქელონზებიანი სათვალის მიღიდან შეათვალურა თავისი გამობუნებული ცისფერი თვალელები და თანხმობის ნიშნად თავი ღრისკულად დაუქნია.

— რაც მთავარია, ღერძი გალუნული არ არის. იცის ხოლმე ასეთ დროს, გაილუნება და მერე ახალი უნდა გამოაჩინოინო, — შმიმედ ამოლაგა სიტყვები მან.

ხათუნა სამზარეულოში გავიდა, სადაც ოჯახის უფროსი, როინი, როინის ძმაკაცი, შეჯვარე და შვილის ნათლად გია, ამ უკანასკნელის მიერ მოტანილ ჩაცვიბულ არაყს სვამდგნენ. გიას არაყთან ერთად უშველებელი, თოთმბეტკლოგარმიანი საზამთროც მოიტანა. მისი თქმით, სწორედ ამ, გასაყიდვად ქუჩაში გამოტანალი საზამთროს ნახვამ გადაწყვეტინა ნათლულის მონახულება, თორემ სხვაგან აპირებდა წასვლას.

— არა, ნამდვილად ის არის! — განცხადდა სამზარეულოში შემოსულმა ხათუნამ და ქმარს მოუბრუნდა: მიდი რა, კითხე, გეხვენები!

— რა ვკითხო, უკაცრავად, შენ იმ ბიჭის მამა ხარ, ჩემი ცოლის მამიდამშვილს ცოლობას რომ შეპირდა, მოიტაცა, ცოტა ხანი იცხოვრა მასთან და მერე მიტოვა და, თუ მართლა ისა ხარ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ, როცა შენმა ბიჭმა ჩემი ცოლის მამიდამშვილი შეაცდინა, მე ჩემს ცოლს არც ვიცნობდი, მაინც ერთი გემოზე უნდა მიგთეთქო-მეთქი?

— არა ვარ ასეთი მოპურობის ღრისი! — ნამოხიბლად ხათუნამ, ხელემი გულზე დაიკრიფა და სასვე ტურები აიბუჯა.

— მოიცათ! — თქვა გაიმად და ერთხელ უკვე შემძრალებულ, ნადრვად გამელოტებულ თავზე ქვალულის ხელსახოცი გადაისვა. — მე გავიგებ ყველაფერს. ქნე შემთხვევები ამის

თუკი ვინმე იკითხავს, გელა ჩვენავა როგორი მწერალიაო, თავისუფლად შეგვიძლია ეს მოთხრობა წავაკითხოთ. ჩვენ წინამეა ქრესტომათიული ჩვენავა.

პირველი და თვალმისაცემი — ეს არის დეტალების ფოთრევერი, ზოგისთვის ჭაბი, ზოგისთვის ოპტიმალური, ზოგისთვის ძალზე საინტერესო.

ამას დავემუბტოთ დრახელოგია — ლაკონური, ზუსტი, სახასიათო;

დროული და კარგად მოზომილი რეპორაჟები.

შემდეგ — პლასტიკა, ქვეტექსტები, თხრობის დინამიკა და ხელთა გვაქვს მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი.

გელა ჩვენავა მხატვარია. ამბავს კი არ გვიყვება, არამედ ხატავს.

ხატავს ცხოვრებას ისეთს, როგორც არის მივნიდან, სულის მხრიდან — მწარე, საცოდავი, სანტიმენტალური.

თვითონაც აქ არის, ამ მეტისმეტად უბრალო და ყველასთვის ნაცნობ ადამიანებთან, რომლებმაც, შენი არ იყოს, არ იცინა, არ ხდება მათ თავს, საით მივნიდან, საით მიაქანებთ ცხოვრების მდინარე.

და ამის მამა ხომ არა ხარ-მეთუ, ვკითხავ, თითქოს ვიცნობდი მკის შვილს... თქვენ მარტო სახელი მოთხარით იმ ბიჭის.

ხათუნამ ჭერს მიაპყრო მზურა.

— ე-ე, იმ საზამთროს ხომ ხედავ? — მიმართა როინმა ძმაკაცს და ვახუშტის გვერდით, მაგიდაზე ვებერთელა საზამთროს ნახევარზე მიანიშნა. — თუშე ჩამარტყი, თუ ახსოვდეს, რა ერქვა იმ ბიჭს!

— ეს საზამთრო ისეთი გემრიელი გამოდგა, ქერქს არ გადაყერი, მურაბას გავაკეთებ, — თითქოს თავისთვის ნაიბუტბუტა ხათუნამ და მზურა საზამთროდან ფანჯარაზე გადაიტანა.

— თუ გაიხსნებ, შენ ჩაველ არყისა და ლუფის ამოსატანად, თუ არადა, შენ ჩაველ, მოსულა? — შეისთავაზა როინმა ცოლს.

— შენ თითონი ჩახველ, ძალიან გაგებარდება მადონას შენი ნახვა! — ვახუშტირებულევიტ ნარმოთქვა ხათუნამ.

— მოიგონა, გამყიდველი გუკრანჭებო, არადა, მეგ გამყიდველს გასატრონონის გამჭველ კარგად ხერხავს! — აცნობა როინმა შვილის ნათლას.

— გუშურს მერე ძალიან? — ირონიულად იკითხა ხათუნამ და გულზე დაკრფული ხელელებიდან მარჯვენას თითები მარცხენას იდავეზე აათამაშა.

— ერთი ჩემი მეზობლის ცოლი... — ნამოიწყო გიამ.

— თამაში! — ნიშნისნიმგები ნამოძახილით განაყვეტინა ხათუნამ სტუმარს.

— ესე იგი, თამაზი, არა?.. ახლავე ყველაფერს გავიგებ, — თქვა გაიმად, თეთრი თამანგის გულისპირზე დაიხებდა, ზომ არ დამეცრინა, და ნამოდაგა.

— მოიცა, — შეაჩერა ხათუნამ და მარჯვენა სალოკი თითი ზაერში აფშკა იმის ნიშნად, რომ კიდევ რაღაც მნიშვნელოვანს იხსენებდა.

— მივა ახლა გია და, თუ იმ ბიჭს თამაზი არ ერქვა, ან ეს ხელსანი არ არის იმ თამაზის მამა, არაყსა და ლუფს ამოიტაცა, — ესროლა ცოლს როინმა.

— მხატვარი იყო ის გარენარი. თხიბნიდა რალაც-რალაცებს. მოვა დრო და ცნობილი გავხდები, ჩემი ნამუშევრები მილიონები ეღირებაო, იბლიძებოდა. ქლესა იყო, რაიკომის მდივნების პორტრეტებს ხატავდა და თანამდებობის ხალხს უჭეროდა. ამან კიდევ, — თუ მართლა ის არის და, მაგონი, ნამდვილად ის არის, — ასე შემოთვალა ბიძაქემს, მამიდარქმის ქმარს, შურისძიება და ეგთები არ იყოს, ჩემს ბიჭს ერთი ღერი თმა თუ ჩამოუვარდა, ამოგ-ნიცავთ სუყველასო... ნარმოგიდგენიათ?



— შენ იმ ბოქსის მამა ხომ არა ხარ, მხატვარი რომ არის-მეთქი, გაითხავე, — თქვა გაიამ და კარებისკენ დაიღრია. — ახლავე ყველაფერს გაგივებს!

— როდის გამოვა ხელოსანი სააბაზანოდან, ლამისაა გავსკდე! — თქვა ხათუნამ გაიას ნახსენის შემდეგ.

— აბა, რა გეგონა, უნახავიეთ რომ მისაკდი საზამთროს! — ნაუსისინა ქმარმა. — შემოსულიყავი, სანამ ხელოსანი მოვიდოდა!

— ორი დღის წინათ გამოვიძახებთ და არ მოსულა, რას ვიფიქრებდი, რომ მაინცდამაინც ახლა მოზრძანდებოდა! — დაიწუნუნა ხათუნამ და ქმარს დამინაშვესავით გაუღიშა.

ცოლის მორჩილმა ღმიღლმა როინს სიბრაზე გაუწვავა — ასეთ დროს ეჭვებშია, თითქოს თანამეცხედრის ქვეყნი რაღაც ბავშვური და უმწეო გამოკრთოდა — უყვარდა თავის წარმოდგენა ძლიერ მამაკაცად. ხათუნაც ხედებოდა, რომ მისი ასეთი ღმიღლი ქმარზე დამამშვიდებლად მოქმედებდა, მაგრამ იმდენად ჭკვიანი ქალი იყო, რომ აღნიშნულ ღმიღლს, იმის შიშით ქმარს არ მოყირქებოდა, იმეფათად თუ ირგებდა სახეზე.

— ოღონდ ტუალეტში შესვლა გამოიყრებ და არავს მე ამოვიტან! — დაპირდა ხათუნა ქმარს, მივიდა და ლოყაზე აკოცა. — ლუღი არ გინდათ, ზედმეტი ხარჯია. თან როდის იყო საზამთროს ლუღს აყოლებდნენ!

— შენი ვერ გავიგე, გავლანძლი ის კაცი, რას ქვია შენმა ბოქსმა ჩემი ცოლის მამიდაშვილი შეაცდინა თერთმეტი წლის წინათ-მეთქი, თუ ის კიბოვო, ჩენს ცოლს ფისი უნდა და სააბაზანოში შეუშვო? — გაეცინა როინს.

— მისუქდი ამ ბოლი დროს, რომ იცოდე როგორ გიბედება სახეც ლოყები, სულ მინდიხარ! — თქვა უცებ ხათუნამ. — ღმერთო, ლამისაა გამეპაროს!

— დედა, ფისი მინდა! — თქვა უცებ საშარტულოს კარის ლიბოს ჩამოფარებულ ბამბუკის მეჩხერ ფარდამ მომდგარმა ხუთი წლის ლანამ, ხელში წითელი სახატავი ფანქარი რომ ეკავა.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა ხათუნას და ქმარს ვედრებით შეხედა.

ლანამ საშარტულოში შემოსვლისას ფარდას ხელი ნაკურთ, რომ ის უფრო მეტად აჩხრიალებულიყო. ფარდის ჩხრიალზე ხათუნას გააფრთხილა.

— ნავლუ გამოვიყვან და ბარემ ორივე ერთად შევდით, თითქოს ბავშვი შეგუყავდეს, — თქვა როინმა.

— მერიდება, მიხვდება ყველაფერს. ისე პატარა კი აღარ არის უკვე, ტუალეტში შეუყლა სჭირდებათ! — ლამის აღირდა ხათუნა.

— გაა ბიძია სად წავიდა?.. დამიხატე რამეო, რომ მთხოვა, საზამთრო დავუხატე. — თქვა ლანამ. — მწვანე ზოლები უკვე გაუკეთე, ახლა წითლებსაც მიგახატავ და მორჩა. ვიცი, რომ საზამთროს გარედან წითელი ზოლები არა აქვს, მაგრამ მე მაინც დავახატე, კარგი?... ოღონდ ფისი მინდა.

ხათუნას ისეე გააკანკალა, თითქოს შეეპყვიანო.

— მეტი არ შემძლია!.. მიდი, გამოიყვანე და აივანზე გადით!

— ოხხ, შენი!.. — დამტუტსავად ნამოსიროლა ოჯახის უფროსმა. — თქვე ქვემადსიებო, თქვენა!

— სააბაზანოში ჭიკა არ იყო და... ნყალი დამალევივით თუ შეიძლება. — მოისმა ბამბუკის ფარდის მიღმიდან ხელოსანის ხმა. — თქვენი სტუმარი შევიდა ტუალეტში, რომ გამოვა, ათ წუთში მოვრჩები საქმეს.

— უფურე შენი! — გაიას მოხერხებულობის შემზრებლად ხათუნას, მალევე მოეგო გონს და ლანას ფერადი ფანქრებით მოთხუბნულ პირს ისე შეხედა, თითქოს მისი მისამართით გამოთქვა შენიშვნა: ნუ ასელებ ხოლმე ფანქერს წვევს, არ შეიძლება, მოინამლები!

— შემობრძანდით, კი არ ვიციბინებთ, — შემოპატივთა საშარტულოში როინმა ხელოსანი, იმანაც ბამბუკის მეჩხერი ფარდა ხაზგასმული მორიდებით ისე გადმოლახა, თითქმის არ აუჩხრიალებია.

ხათუნამ მაცივრიდან შერთიქილი გრაფინი გამოიტანა და, როცა წყალს ჭიკაში ასხამდა, მის ჩხრიალზე კიდევ ერთხელ გააკანკალა. როინს ცოლი შეეცოდა.

— მოზრძანდით, ცივ საზამთროს მოგართმევთ. — მიმართა როინმა ხელოსანს და ცოლს მიუბრუნდა: ვი რამ გამოვა, გაიყვანე ბავშვიც სააბაზანოში და მოხანე პირი... ჩვენ მანამდე საზამთროს შევუკვებთ.

ხათუნას თავის გამოყოფილ მდგომარეობაზე ქმარზე ადრე თვითონვე ჩაეღიშა, ლანას ხელი ჩაველო და საშარტულოდან გავიდა.

— ეს რამდენად საზამთროს! — გულწრფელად გაოცდა ხელოსანი.

— ამის მეორე ნახევარს უკვე გეახვლით. მეორე ნახევარი, ანუ მაცივარზე რომ დევს, იმის მეორე ნახევრის ნახევარი მაცივარშია. იცით რა გემრიელია?... აი, ცოტა არაყი და დავტრენია, მაღალი უხდება საზამთროს! — თითქოს ზრდილობაში ეჯიბრებოდა, ისეთი მოწინებით მიიწვია როინმა სუფრასთან ხელოსანი.

— აბ-აბ-აბ! — შემოთავაზებულ სკამზე ჩამოჯდომამდე აასვსავა ჩოჩაბივით ხელეწი ხელოსანმა. — არ ესვამ მე. თქვენი სტუმარი თითქოს მეცნობა საიდანდაც. მწვანე "ფოგული" ხომ არ ჰყოლია ოდესმე?

— მამამისს ჰყავდა. ამ ორი წლის წინათ გაყიდა, მამა რომ მოუკვდა, მერე. — ანგარიშმოუცემლად დაეთანხმა მაცივართან საზამთროს გამოსატანად მისული როინი. — მაინც საიდან გვეცნობათ?

— ზეგრი არ მომიჭრათ... ცოტა, იმდენი, ყელი რომ ჩავისველო.

— მაინც საიდან? — ხელოსანის მიერ კითხვის ბანზე ოსტატურად ავდებამ ვალიზიანა როინი.

— აი მესამე ხმაც მოვედი! — საშარტულოში შემოსვლამდე ბამბუკის ფარდის იქიდან დაიძახა გაიამ.

ხელოსანი უხერხულად შეიშუმუნა.

— საკითხი რომელი, სუვერი, კარგი თუ უბრალო? — უკითხა ხელოსანმა როინს, მაცივრიდან გამოტანილ საზამთროს მოუქნელად რომ ჭრიადა. — კარგი სამი მანეთით ჭვირი დავიკვებავთ.

— მავაზე ვამხსენედა, — დაიწყო გაიამ და თან სიგარეტის ფერფლის მოსაშორებლად თეთრი პერანგის გულსსპირზე სულა შეიჭრა. — ერთი ჩემი ტელევიზორების ხელოსანი მეზობელი კლიენტებს უმბრძნავ, თუ გინდათ კარგ, სუპერმუშა ნაწილს ჩავიყენებთო...

— მე ისეთი არა ვარ! — გაანწყურინა მას გაბრაზებ-



ბულმა ხელოსანმა და გაის მიერ მორთმულ საზამთროს ნაჭერს ამრეზით დახედა.

— არადა, როგორ შეგახართ თამაზის მამას! — ისეთი დანაზნებით მიმართა გამი ხელოსანს, თითქოს თამაზის მამობა ამქვეყნად ყველაზე საპატიო რამ ყოფილიყო, და შესარტყელად ბოთლი დარქმინილი არაყო დაუსხა.

— აბა-აბა! — ნინაბივით ხელგედი აფრინის მოსურნე დიდი ფრინველის ფრთებით მოუქნელად აასახავა ხელოსანმა. — ვერ დაველვ... გამოვა ქალბატონი სააბაზანოდან და ორივენიარ საკისარს გაჩვენებთ, თვითონვე ნახავთ გასწავლებას!

— მამაჩემბა რა უთხრა, თუ იცით, ერთ ჩვენს მეზობელს, სტუმრად რომ მოვიდა და ღვინო არ დალია? — კიდევ ერთხელ შეიბურა სული პერანგის გულისპირზე გაიამ და არყიანი ჭიქა ხელოსანს მიუჩინა. — ვერ ჩავასხამ იმ ღვინოს უკან დოქში და ანუ, შენ თვითონ გადაწყვიტე, როგორც მოიქცე, ან დალოე და ან გადავადარე... დაველოე, ძიაკაცო, ეს ჭიქა, საქმეს რომ მორჩები, კიდევ დაგახვედრებოტ.

გაისაგან უფრო მეტი ორიგინალიობის მომლოდინე და იმედგაცრუებულმა ხელოსანმა როინს გადახედა და, იმის მოლოდინში, რომ მიმდინელი მის მიერ ნახსენებ გაის მამის მწვენი „ფიგულზე“ იტყუდა რამეს, დაიძაბა და საზამთროს ნაჭერს უცნაური დაინტერესებით დააქუცრავდა.

ჩამოვარდნილი უზერხული სირუძე გაიმ მისი შენიშვნის მიმართ გამოთქმულ პრეტენსიად მიიღო და ძმაცაცს გაოცებული და კითხვით აღსავსე მზერა მამაკურო.

— სასყენად ვთქვი რამე? — იკითხა მან.

ითამიზ ხათუნა შემოვიდა კმაყოფილი სახით. მამაკაცებმა ერთდროულად შეხებეს დიასახლისს. იმანვე მამინეუ იაზრა, რომ სტუმრები მიხედნენ, საბაზანოში შესვლამდე ძალიან რომ უჭირდა, და ბავშვითი განილდა.

— ამ ათი წლის წინათ, ავარიის ხომ არ მოგსვლიათ თქვენი მწვენი „ფიგულით“? — ჰკითხა გაის მოულოდინედად ხელოსანმა და არყიანი ჭიქა გვერდზე მისწია. — საგაზეთო კიოსს ხომ არ დაჯახებინართ შემთხვევით?

— შემთხვევით კი არა, მართლა დაეჯახებ! — უპასუხა გამი. — თქვენ საიდან იცით?

— შეუხსნარი შემთხვევითი ამ აბზავს და დამამახსოვრდით სახეზე! თმა შუაზე ჭკონთან მაშინ გაყოფილი, თუ არ ვცდები!

— აუ, ჩემი! — სჯეროდა და არც სჯეროდა გაის, რომ ამდენი წლის შემდეგ შემთხვევითიმა გამეღელვმა ასე მკაფიოდ დაიმახსოვრა მისი სახე.

— თქვენც ხომ არ იყავით მანქანაში? — როინს ჰკითხა ხელოსანმა.

— არც ვინმობდით მაშინ ერთმანეთს, სასამაბურში დავძევი ვიცით, — როინს დაასწრო გამი და ხათუნას მიუხარუნდა. — აუ, ჩემი!.. ეს რა გამახსენა ამ კაცმა, აზრზე ხარა?.. ჯარიდან ახალდაბრუნებული ვიყავი, მამაჩემს მანქანაში მოვარდი, დავლიეთ ბიჭებმა. ბუკინისებების მალაზიანმა ერთი ლამაზი გოგო მუშაობდა, ჯარიში წასვლამდე მომიწონდა და ამ მიკარებდა. ჯარიდან რომ დაბრუნდი, ისევე იქ დამხვდა, საქმრო მყავსო, მეუბნებოდეს, მაგრამ მატყუებდა. იმ დღესაც მისთვის თავის მოსაწონებლად გაეპაროლ-გამოვაქროლე მანქანა მალაზიასთან. მალაზი-

ის საპირისპირო მხარეს პარკი რომაა, იქიდან კაცი გადამოიხტა, ავაცილე და პირდაპირ კიოსს ეგლიჯე, ჩამოვილე ვიტრინები, გენზევ გადარჩა გამეფიფილი. მოკვდა მეგონა. ჩემი შეგობარი მიუჯდა საქვს და, სახამ აზრზე მოვედიო, იმას ნახვეარი ქალაქი ჰქონდა უკვე უკან მოტოვებული. დავახვეთი, ერთი სიტყვით, მილიციის მოსვლამდე ავორთქლავთ... მაინც როგორ გახსოვართ?

— მახსოვართ! — თქვა ხელოსანმა და შარვლის ვიბიდან დაქუცქუნული ცხვირსახოცი დააძრო. — რომელ გოგოს აწონებდით თავს, გრეტას ხომ არა?

— თქვენ საიდან იცით? — კინაღამ გადაიარია გაი.

— ჩემი მეზობელი იყო, შელივით გვიყვარდა მე და ჩემს ცოლს! — თითქმის დამინაცვლით წარმოთქვა ხელოსანმა და, მოლოდინისდა საწინააღმდეგოდ, იმის გამო, რომ გაი ერთ დროს მის შელივით საყვარელ მეზობელს მოსვენებდა არ აძლევდა, აღმფიფიება აღარ გამოუხატავს.

— იმ დღის მერე არც მინახავს გრეტა. ახლა როგორ არის, ხომ კარგა? — იკითხა გამი და ამ სულელური კითხვის შემდეგ, თითქოს ხელოსანის ვინაზე, ვიბიდან სუფთა და დაუთოვებული ცხვირსახოცი დააძრო და გაოფილილი თავ-შუბლ-კისერი შეიმოსალა.

— მე ვიყავი მისი კაცი, პარკავდა რომ გამოვიტოვებ! — თქვა ხელოსანმა და გაის თვალში მისი ჩახედა. — გრეტასთან მივდივდი. მაცივარი უნდა გვეყავა მე და ჩემს ცოლს, ფული დაეკალდა, გრეტას დავურჩევით და, დაგინატიტემო. გაემეფივებოდა, დროზე მოიხატნეთ ფული, თორემ სხვები იქნებოდნენ მაცივარზე, და მეჩქარებოდა. ჩემი ბრალი იყო, კაცმა რომ თქვას... ერთი არ დასცდენია ეს ამბავი იმ უმჯობეს თვისს... გრეტაზე ვაპბობ. ერთი არ უთქვას, ჩემი გულისთვის დააქროლებდნენ მანქანასო...

— უფურე შენი! — წამოისროლა ხათუნამ.

— არადა, მაგის გულის მესიადმულე იყო ჩემი ცოლი. გრეტას დედა, თავის შვილზე რამის გავება რომ მომიდებოდა, ჩემს ცოლთან მოდიოდა. არ იყო გრეტულია, ეტყობა, ბოლომდე გულახდილი, როგორც ჩემს ცოლს ევანა, — გულდაწყვევით აღნიშნა ხელოსანმა.

— ჰაიტ, შე კიოსკების გამბტანო, შენა! — მხარზე დაპკრა ხელი როინმა მამაკაცს. — შენ რა მავარი ყოფილხარი!

— კიდევ კარგი, რომ არ დაეჯახებთ, — ხელოსანს მიუხარუნდა გაი. — ბავშვი ვიყავი მაშინ და ბევრ რამეს გერც ვაცნობიერებდი, მაგრამ მერე და მერე, რკკა დადგინდა, არიო, იმის გავიწერებზე, შეიძლება კაცის მოკვლევი გავმხდარიყავი-მეთქი, ტანში მბურტკლავდა. სულ მიწიდა და ვერ წავედი ეკლესიაში სანთლების დასანთებად, იმ დღეს მშროლი რომ გამომპყვინდა სიტუაციიდან ღმერთმა, იმის საამადლოლო!

— მაინც რატომ არ უთხრა ჩემს ცოლს იმ უმჯობეს თვისმა, მისი გულისთვის რომ დააქროლებდნენ მანქანას? — თავისი საწურხარი ხმაშემალი გამოთქვა ხელოსანმა. — ყველაფერს ეუნებოდა ჩემს ცოლს, ეს კი არ უთხრა...

— გამოდის, რომ ყველაფერს არ ეუნებოდა! — ლამის დაუყვავა ხათუნამ ხელოსანს. — ან იქნებ უთხრა კიდევ თქვენს მეუღლეს და იმან დაგინალოთ... დაუფიფიო, აბა, და, იმის გახდა, რომ გული არ გტკიუნდათ.

— გამოიტყუე! — უარესად ანერვიულდა ხელოსანი. — ჩემი ცოლი არავფერს მიმალავდა.



— რას აქვებზე ამ პატროსან კაცს ცოლის წინააღმდეგ!  
— ნახევრად ხუმრობით უსაკევედურა თავის ცოლს როინმა.

— რას ქვია ვაჭებზე?.. პირიქით... ყველაფერს კი არ ვეჭვებოდა და ვუჭებოდა ცოლები ქმრებს, ვუმაღლათ ზოგერი რამეს, გული რომ არ დასწყდეთ... ისევე, როგორც ქმრებმა უნდა დაუმალონ ცოლებს ზოგი რამე, გული რომ არ დასწყვიტონ, — ქმარს პასუხობდა და ხელოსანს შემყურებდა ხათუნა. — ასე არ არის, პატივცემულო?

ხელოსანმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვებს ვერ მოუყარა თავი. გიან ხელოსანს გაუღიმა.

— რამ დაგამახსოვრათ მიხივ ასე ძალიან ჩემი ვარცხნილობა?.. კაცი გაიტანა მამაჩემის ერთმა ამხანაგმა და...

— სხვათა მორის, ძალიან კარგად მახსოვს, გია კიოსკს რომ დეეჯახა, ის დღე, — ლამის საზეიმო ტონით გამოაცხადა ხათუნამ და შთაგონებული სახე მიიღო. — ლეღვი არ იყო კიდევ კარგად შემოსული, უმნივარი ლეღვის რძემ ტურებზე მუწუკები დამაყარა. სკოლა ახალი დამთავრებული იქონდა და უმაღლესში ჩასაბარებლად ვემზადებოდი... დაჩაზე ვიყავით, ეუზოში ვისტედიან ყველანი, მე ზობლის ქალი შემოვიდა და გვიხიზრა, ვილავ ნარკომანებს გაზეთების კიოსკი გაუტანიათ მანქანით ქალაქში, იმიტომ, რომ ასეთი რაღაცა კარტში წაუგიათო. კარტში ისიც წაუგიათ, რომ მეკიოსკე ქალიც უნდა მოეკლათო, მაგრამ გადარჩაო. ჭორი იყო ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მაგრამ დედაჩემმა საშინლად ინერვიულა!

— დედაშენს რა ანერვიულებდა? — ყველას გაოცება როინმა გამოხატა.

— ჩემი ძმა უნდა გავწვით იმ შემოდგომას ჯარში და ყველაზეარ ცუდ ამბავზე წერეულობდა. ეგეთი ტიპია, ემოციური! — უპასუხა ხათუნამ.

— სად ერეკლე და სად ლამპის შუშაო, იმისი არ იყოს! — შენიშნა როინმა.

— ეგ რა არის, სხვა კიდევ ამაზე უარესი ჭორი გავრცულდა, რომ ერთი წიგნი დაინერება, — თავმოწონილი მიიღო ვასცდა გიას. — იმ საღამოსვე დამადგა თავზე მილიცია. ჩაწიშვა ვილაცამ, მანქანის ნომერი დაუმახსოვრებია!

— რას ამბობთ! — გულწრფელად გაოცდა ხელოსანი.  
— ვინ უნდა ყოფილიყო ნეტავი?.. მე არც მომიკრავს თვალი თქვენი მანქანის ნომრისთვის!

— თქვენზე ვინ რას ამბობს! — მაშინვე შეაგება გიამ.  
— თქვენი დაეჭვებული რომ ყოფილიყო, თავს ხომ არ შემეხსენებდით!

— არ შეგახსენებდით! — დაეთანხმა ხელოსანიც, რომელიც, ეტყობა, თავის ვასამართლებელ სახთვის ეძებდა გუნებამი.

— მიორთვით, რა, საზამთრო? — სთხოვა ხათუნამ ხელოსანს.

— დედა, შემოვიტანო ნახატი? — მერეუნიდან იკითხა ლანამ.

— შემოიტანე, დედა გენაცვალის! — გაეპასუხა ხათუნა.

— მრცხენია! — მოსმა პასუხად. — ცოტა ხნის მერე შემოვიტან!

— მე კიდევ ერთი ძველი ნაცნობი მხატვრის მამას მივამსგავსეს, — მივართა ხათუნამ ხელოსანს. — რა არის მამაც ეს ცხოვრება, დამთხვევებითაა საესეს!

— ჯო, მითხრეს უკვე, — თქვა ხელოსანმა და გიას გადახედა.

— კარგი მხატვარი იყო ის ბიჭი, მართო ჩემი კი არა, ჩვენი საერთო ნაცნობი, — ხათუნას შეცდომა გამოასწორა გიამ. — მიორთვით საზამთრო.

— მილიციას როგორ გადაურჩით? — ჰკითხა ხელოსანმა.

— მაგას თუ გადაჩრჩნა შეკვია... ისეთი ამბავი ატეხეს, თითქოს კიოსკი კი არა, ბანკი გამეტანოს. მეკიოსკე ქალმაც ჩემზე მოინდომა გამდიდრება, იმდენი მოითხოვა, რომ გიხიზრათ, შეიძლება არ დაიჯეროთ, — თქვა გიამ და სამი თითი ასწია: ათასებში, რა თქმა უნდა, და, ნახევარი მიიღო.

— ეგზე არ არის ცოტა, — შენიშნა ხელოსანმა.

— გრეტა სად არის ახლა, რას შერება? — თითქოს დიდდა არც აინტერესებდა, ისე იკითხა გიამ

— ერთი შვილი ეყულა მაგასაც დედამისიანი, მეტი ვერა, თითქოს გუნებში შექონდა. შობილებების სახლი გაყიდეს მაგან და მაგის ქმარმა. იშვიათად ვხედავთ ახლა.

— დედისერთა იყო? — გაიკვირა გიამ.  
— არ იცოდით?



მხატვარი იანა ხალიშვილი



— არა, არ ვიციდი, — თქვა გიამ და დანის წევრით საზამბროს კანზე რალაც კუთხოვანი ფიგურა დახაზა. — მძით მამინებდა, მატყუებდა თურმე.

— მაის მერ არ გინახავს? — ჰკითხა ხათუნამ ქმრის მძაცას.

— ერთხელ ვნახე. ავედევნი, მაგრამ ვერ გამოვეცნაურე, ვილაც ქალთან ერთად იყო და მომერიდა. შეიძლება გრეტა არც იყო...

— ძველ შეგვარებულზე მასეთი გამოკიდებები სიბერემ იცის, — შინშია როინმა და საკუთარ გამონათქვამზე თავმომწონედ გაიღიმა.

— ნავალ შე, — საქმეს მივხედავ, — თქვა ხელოსანმა.

— რომელი საკისარი დაევიწყო?.. თუმცა კარგს დაგიყვანებო ჩვეულებრივის ფასში.

— ნავალ და კარგ კონიაკს ამოვიტანე, ხომ უნდა გამოვიყვანო ათი წლის წინანდელი დანაშაული! — თქვა გიამ.

— უფარს ნუ მიტყვი, ძალიან ვთხოვო. ნუ დაშეშებოვარ გულს!

— შეცე გიხოვოთ! — უფარს თქმა არ აცალა ხათუნამ ხელოსანს. — კარგი ბიჭები არიან ორივენი. ბუხლუნები კი არიან, მაგრამ გული კეთილი აქვთ. არ უნდა აქებდე ქმარს, რომ არ გათამამდეს, მაგრამ ერთხელ შეიძლება.

— აღინ რაზ ნუ ჰიდარასტ! — მოჭრით დაახეთქა როინმა. — ებ-ხ, რალაც-რალაცებიც დამშალავო ცოლებო!

— ჩარჩენია გულში! — გულღიად გაიცივნა ხათუნამ.

— მიგრეზები ბარემ ჩემს საქმეს და მერე იყოს, — თქვა ხელოსანმა და ნამოდგა.

— დედა, კიდევ მიწა! — მოისმა დერეფნიდან ლანას ხმა.

— ჩემი შეილია, ფისი უნდა, — აუხსნა ხელოსანს როინმა და ცოლს გადახედდა, შენც ხომ არ მოგიწიდაო, ჰკითხა მხურთვა ვაგისნათ ბარემ ის დრანგული კონიხა, გიამ რომ მოგვიტანა ჩვენი ქორწინების წლისთავზე.

— ვაგისნათ! — დაეთანხმა ქარისკენ შეტრიალებული ხათუნა და გაისკენ მოიხედა, ყოყმანი ხომ არ შემატყო.

— ეც ლანას დაბადების დღისთვის შევიწახოთ, როგორც დათქმული გვექრნდა, სხვას ამოვიტან, — თქვა გიამ.

— ლანას დაბადების დღისთვის სხვას ვიშოვიო, ახლა ეს დავიკლებო, — თქვა როინმა და ხელოსანს გაუღიმა: ისინი რომ გამოვლენ, მერე მეც შევალ სულ ერთი ნუთით, თუ შეიძლება.

— როგორ არა! — თქვა ხელოსანმა და დაედა.

— მოდიოთ, ბარემ ავიანზე გამოვიტანოთ ის მანქანა. თქვენ რას იტყვიო? — მდგომარეობიდან მარტივი გამოსავალი იპოვა გიამ.

— მე მგონი, ეგრე აჯობებს, — დაეთანხმა ხელოსანი.

— აქამდეც უნდა მოგვეფიქრობინა, — თქვა როინმა.

— არ ვიცი, არ უყვართ ხაზვიენებს, როცა მანქანას საბაზანოდან გადის. თითქოს საბაზანოში უკეთესად გარემონტდებოდეს, ან გარემონტების შემდეგ უკან არ შეტეოდეს! — შინშია ხელოსანმა.

— მიივება ალბათ, — უთანაგრძნო გიამ. — უფრო მკაცრად უნდა მოითხოვოთ.

— მიგრევი უკვე და საერთოდ არ ვითხოვ! — აღიარა ხელოსანმა. — ერთი მამალი ჰყავდა ჩემს მეზობელს, ბავშვებს უკროდა და ამიტომ ამწყვედებდა. თან, რალა დასამა-

ლია და, ქატიმებს რომ ჩინილავდა, კისერზე ბუმბულს აგულავდა...

— ეგ როგორ? — გაოცდა გია.

— მამალი დედალს რომ ტყუენის, ნისკარტით კისრის ბუმბულში ჩააფრინდება ხოლმე, წესი აქვთ ასეთი, — აუხსნა ხელოსანმა.

— რას არ გაგიტებს ცაცო! — კიდევ უფრო გაოცდა გია.

— ჩაინიშნე, გამოგადგება! — ურჩია როინმა მძაცაცს და ხელოსანს მოეზრუნდა: მერე, პატივცემულო?

— ისე მიეჩვია მამალი საქათმეში ყოფნას, გარეთ თუ გამოუშვებდნენ, ისეც საქათმეში ბრუნდებოდა.

— ერთ ჩემს მეზობელს კიდევ... — დაიწყო გიამ, მაგრამ ისეთი ვერაფერი მოაგონდა, თემასთან რომ ყოფილიყო დაკავშირებული.

— მიირთვით, რა, ეს სახამართო, თორემ გვეწყინება! — სთხოვა როინმა ხელოსანს.

— ერთ ჩემს მეზობელს კიდევ... — ისევ დაიწყო გიამ, ამჯერად, ეტყობა, მართლაც რალაც მორალის მქონე საგულსხმო ამბავი მოიფიქრა, მაგრამ ვადაწყვეტა სადღეგრძელოს სახით ეთქვა, არყიან სირჩას ხელი ნამოავლო და გრეტაზე მონოლოლ მოგონებებს გაუღიმა...

— შთაგონებული სახე აქვს, მაგრამ სადღეგრძელოს იტყვის! — იგარაუდა გაის შემხედვარე როინმა. — ოღონდ ერთ თავის მეზობელზე ამბავს მოაყოლებს...

— ჯანდაბო! — გაუმარჯოს! — ვერ კიდევ სირჩის აღებამდე დაეთანხმა ხელოსანი გაის. — ოღონდ, სიმართლე რომ გითხრათ, იმ დღესთან ცუდი მოგონებები მაკავშირებს...

— ძალიან შეგაშინეთ მამინ და გულის ტკივილი ხომ არ დაგჩემდათ მას მერე? — სერიოზულად შეშფოთდა გია და ცუდის მოლდამიში, ცოტა არ იყოს, არტისტულად გაიჩინდა.

— არა, მუხლი გადავიტყავე მხოლოდ, როცა დავეცი. მანქანამ კი არ გამკრა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და მაინც დავეცი. ჰოდა, მუხლი გადავიტყავე...

— რას მელაპარაკებოთ! — გულწრფელად შეწუხდა გია.

— ეგრე იყო! — მძიმედ ამოთქვა ხელოსანმა და თავის არყიან სირჩას ჩააცქერდა. — ჰოდა, საავადმყოფოში რომ ნამიყვანეს და რენტგენი გადაიძიეს, მუხლი არ გქონდეს გაბზარულიო, ჩემს ცხონებულ ცოლს ვუთხარი, ბარემ აქა ვართ თუ რეც გადაიღე ფილტვებზე რენტგენი-მეთო. იტკივება ფილტვებს, მგონი მჭკვალასო, ამბობდა, და მიიტრია...

— მერე? — ნაეშველა ხელოსანს საბაზანოში ნასვლამდე საზზარეულოში შემობრუნებული ხათუნა.

— სიმსივე აღმოაჩნდა ავთვისებიანი... ნახევარ წელში გათავდა ქალი! — თქვა ხელოსანმა, არაყი გადაკრა და ნაღელიანად გაიღიმა: გაუმარჯოს მოგონებებს!.. არ იფიქროთ, რომ ჩემი ცოლის სიმსივენს თქვენ გაბზარუბდეთ... უბრალოდ, იმ დღეს გავიგე ეგ ამბავი. ძალიან ბევრი ვიფიქრე ამ ამბავზე და, ასე მგონია, რომ არ ვაგვო, რაც სჭირდა, უფრო მეტს იცოცხლებდა, ნერვიულობამ



დააჩქარა მისი სიკვდილი... ბედისწერაა ყველაფერი, ვერ-  
სად ნახვალ, ვერსად!

— მუხლი როგორა გაქვით? — ჩამოვარდნილი უხერ-  
ხული სირქმის შესასვენად ეკითხა როინმა.

— ისე რა... როცა აცივდება, მაშინ ნამომტკიცდება  
ხოლმე.

— ნასულებს თქვით! — ურჩია მამაკაცებს ხათუნამ  
და ტანში გასცრა. როინმა მას ეჭვის თვალით გადახედა,  
მაგრამ ცოლს ქმრის მზერა არ შეუმჩნევია.

— უმ! — ცოლის ყურადღების მისაპყრობად ყელი ჩა-  
ინმინდა როინმა.

— რა საზარელი დღე ყოფილა თქვენთვის ის დღე,  
გამბურჭლა კიდევ! — თქვა ხათუნამ და თავისი ხელით  
მეუფესო ჭიქა ხელისასანს.

— კო, ნადვილად რომ ცუდი დღე იყო! — უგულოდ  
დაეთანხმა ხელისანი.

— მიცვალებულების თქვით! — დაიბარა ხათუნამ და  
სამზარეულოდან გავიდა.

\*\*\*

წვიმადა.

ქალაქს ეძინა.

ეძინა ხუთი წლის ლანასაც და უზარმაზარი, მისი სიმაღ-  
ლის თეთრი სახამთრო ესიზმრებოდა. ლანა სახამთროს  
მისდგომდა და უნდოდა ის მწვანე და წითელი ზოლებით  
მოეატა, მაგრამ წითელი ფერის ფანქარს ვერ პოულობდა.

შვილის საწლოს გვერდით ქმრის მიმლოდნე ხათუნა  
ფანქარასთან იდგა, გულზე დაკრფილი ხელებიდან მარ-  
ჯუქებს თითებს მარცხენა იდაყვზე ათამაშებდა ნერვიუ-  
ლად და ლამპონის შუქით სედიდანად განათებულ ცარი-  
ელ ქუჩას ტყვეტროდა.

ქუჩაში გაქვითი გამორჩნდა. ხათუნას გულმა უგრძნო,  
რომ მას როინი მოჰყავდა.

ტაქსიმ იმ კორპუსის შიდა ეზოსკენ შეუხვია, რომელ-  
შიც როინი და ხათუნა ცხოვრობდნენ.

ხათუნა საძინებლიდან გამოვიდა, სამზარეულოში შე-  
ვიდა და იქ ფანჯრის მინას შუბლით მიეყრდნო, რათა სა-  
დარბაზო შესასვლელთან გაჩერებული მანქანა უკეთ და-  
ენახა.

ტაქსიდან როინი გამოსულიყო და სამზარეულოს ფან-  
ჯრისკენ იურებოდა. ბოლოს ცოლსაც მოჰკრა თვალი,  
ხელი დაუქნია, შემდეგ ეზოდან გაშვალ ტაქსისკენ გაი-  
ხედა და სადარბაზო შესასვლელში შემოვიდა.

ხათუნამ ამოიხორა, გახტურაზე შემოდგმულ ჩაიდანს  
ციცხლი შეუნთო, საბაზანოში გავიდა, იმ დღეს შეკეთე-  
ბულ სარეცხ მანქანას ემყოფილმა გადახედა, სარკეში  
ჩაიხედა, თვლების ირგვლივ გაჩენილი ოდნავშუამჩნევი  
ნაოჭები ნაჩქრევად შეითვალეირა და ის-ის იყო დიდ,  
ფუმუფულა პირსახოცს დასწვდა, რომ კარზე ხარის ხმა  
გაისმა. მანაც პირსახოცით ხელიმ გასწია კარის გასაღე-  
ხად.

ხათუნა თავის გუჟამანი არ შემცდარა — როინი მარ-  
თლა გამლუმედიოყო წვიმამ.

— გაის მანქანა რა იქნა? — ჰკითხა ხათუნამ ბინაში  
შემოსულ ქმარს და პირსახოცი გაუნოდა.

— მოუსვლელში! — შეურინისავით როინმა ცოლს,  
მინოდებული პირსახოცისთვის არც შეუხედავს, პირდა-  
პირ საბაზანოსკენ გააბოტა სველი ფეხსაცმელებით. —  
სადარბაზოში ვერ ექვნი იმ გამოსირებული ბოჭიეთ, მე-  
ოთხეზე რომ ცხოვრობს, ნაჭირავეშპირ, რა ჰქვია, დამაივნ-  
ყდა...

როინი ისე მიადგა უნიტაზს, რომ საბაზანოს კარი არ  
მოუკეტავს.

— გიამ რატომ არ ნამოგყვანა თავისი მანქანით, ხომ  
მშვიდობაა? — ხელმოურედ ჰკითხა ხათუნამ ქმარს, მისი  
სამინაო ფოსტლები საბაზანოს კართან დაანყო, პირსა-  
ხოცი კარის სახელურზე ჩამოკიდა და იმის საძინებლად,  
რომ პასუსს მოუთმენლად ელოდა, ამოიხორა.

— გაის მანქანა ბორბიურზე ახტა და ბუტკასაც გლი-  
ჯა! — ხეანჯრის შეკვრულად უნიტაზი ჩარეცხა როინმა.

— რას ჟეია ახტა და გლიჯა?.. ეგრე დაითვრა გია, რომ  
„მანქანა ბორბიურზე ახტა და ბუტკასაც გლიჯა“?.. გა-  
დატანითი მნიშვნელობით თქვი თუ მართლა?.. შენ რომ  
ეგეთი ნასვამი არა ხარ? — ერთმანეთის მიყვლებით ოთ-  
ხი კითხვა დასვა ხათუნამ.

— ნასვამი კი არა, მთერალი ვიყავი, მაგრამ გამოე-  
ფხიხილდი „გაისთან“ კაიშეში! — უპასუხა როინმა, აბაზა-  
ნის კიდევზე ჩამოჯდა და ფეხები მბრძანებულრად გაიშვი-  
რა.

— ამიხსენი, ადამიანო, რა მოხდა, გაის რატომ ეკაჩა-  
ვებოდი? — ქმრის გაურკვეველ პასუხზე უფრო მისმა გა-  
მომწვევმა ქვევამ გააღიზიანა ხათუნა, გაღიზიანებულზე  
კი თავისი მთავარი საწახოცა დაურიდებლად გაამფლავნა:  
შენი ამბავი რომ ვიცოც, რესტორანში, მიუხედავად იმისა,  
რომ გიამ დაგაპტიფათ შენ და ის ხელოსანი, ჯობილი რომ  
გეყო, იმ ორმოცდახუთ მანეთსაც დააბლერებდი!

— არ დამომლერებია! — თქვა როინმა და ფეხები ჯერ  
ერთმანეთს ქმარსკრა, შემდეგ კი გაასასვავა.

ხათუნა ქმარს შეხედა, შემდეგ დაიხარა და მის ფეხ-  
საცმელებზე თასებებს შეხსნას შეუდგა.

— მართლა არ დაგისარჯავს? — იკითხა მან, როცა  
ფეხსაცმელები გახადა და ფოსტლები ჩაეცვა.

— დასარჯეთი კი დახარჯე, მაგრამ არ დამომლერე-  
ბია. დამლერება იმას ჰქვია, როცა რესტორანში მემოსლიკე-  
ებს სიმღერას შეუკეთავ და ფულს ჯიბეში, ან ვიჭარის  
შუა დირკაში ჩაუტენი! — მშვიდად აუხსნა როინმა ცოლს,  
საუთარამა გონებაშავილურამ მიგნებამ ალაფთოვანა,  
პურანეგ გაიხარა და ზურგსკუთქ აბაზანოში გადათქაძა.

— ასეც ვიცოდი! — თქვა ხათუნამ, დააპირა, მაგრამ  
მალევე გამოაფიქრა გაღიმიება, კარის სახელურიდან პირ-  
სახოცი ჩამოხსნა, ქმარს მიაწოდა, ამოიხორა, საბაზანო-  
დან გამოვიდა და სამზარეულოსკენ წავიდა.

როინმა ამოიხორა და თმის შემშრალელებს შეუდგა,  
თან სარკეში იურებოდა.

— გაის რატომ ეკაჩავებოდი-მეთქი!.. იჩხუბეთ თუ ის  
ენხუბა ვინმედა შენ აშველებდი? — მოესმა სამზარეუ-  
ლოდან როინს ხათუნას ხმა. — ჩაი ხომ გიყვარა?

— გაის კი არ ვეკაჩავებოდი, გაის, გა-ი-ს-მეთქი... გა-  
სლდარსტენენაია ავტობისპექციანაა! — ისეთი ნამლერე-  
ვით წარმოთქვა ბოლო ფრაზა როინმა, თითქოს არიას ას-  
რულედა.



— გაის? — გავოცდა ხათუნა და მაშინვე სააბაზანოს ლია კართან გაჩნდა.

— ჰო, ხელოსანი დაჯდა რულზე, ბორდოურზეც კობცად ახტა და ბუტკასაც ვაფაკურად გლიჯა... აი, იმ ბუტკას, გას რომ გაუტყანია წინათ, მერე გაიც დაგვადგა... ფული ყველა არ დამიპარჯავს, თორმეტი მანეთი მომყვა!

— დაიფიცე!  
— გეფიცები!.. რესტორანში რომ ვისხედით, ისევ მოიგონეს იმ ბუტკის გატანის ამბავი გიამ და ხელოსანმა. ხელოსანმა გას უთხრა, მე წენშე სტო სოროკით მოდიოდი მაშინო, გიამ, არ არსებობს, მაქსიმუმ სტო იქნებოდა, იმიტომ, რომ სანამ იმ ქუჩაზე გავიდოდი, სადაც დაგარტყი, ოთხმოცდაათბარადუსიანი პავაროტი გამოვიარე, პავაროტიდან იმ დაფილამდე, სადაც შენ გადმომიბიტი პარკიდან, ორმოცდაათი მეტრი თუ იქნება, პა და პა, სამოცი, პოდა პავაროტი სიჩქარე ზომ უნდა დააგდო, რომ არ გადამყარედე, სიჩქარედაგდებულზე კიდევ ორმოცდაათ მეტრში, გინდა სამოციმე და სამოცდაათიც რომ იყოს, „გიგული“ სტოსოროკს ვერ აიღებსო. არა, სტოსოროკი იყოო, არ იყოო, და დანაშაუდენენ...  
— დაიფიცე!  
— ლანას ფეცივარა!.. ზღაპრის მოყვლა არ მოუთხოვია დაძინების წინ?  
— ჩაფხა, ბატონო!  
— უჰ, მაგას ვენავეცაღე!.. უნდა მოვეფერო!  
— არ გაბეჭდე, გაუპარავს ხარ და გააღებებ!.. მერე?  
— პოდა, წამოვედით რესტორნიდან იმ ქუჩაზე სლედსტვენი ექსპერიმენტის ჩასატარებლად და ჩავიჭარტეს კიდევ... ორჯერ შემოვიდა პავაროტი გია მისამოლოტი სიჩქარით, მაგრამ პარკამდე სტოდესტზე მეტე ვერ ასწია... ხელოსანმა კიდევ... სხვათა შორის, ბაგრატი პეკია... პოდა, ბაგრატმა, მე ვცდილო. პირველ ცდაზე სტოპინატკატზე ავიდა, მაგარი ლიბარი ყოფილა, მეორეჯერ უფრო მეტზე, არანაკლებ სტოდევატკატისა, კინაღამ გახეთქა მატორი, დანვა პაკონკები... მესხანე შემოსულაზე გაი ავეცივდა. ვერ ჩაჯდა კარგად მოსახვევში, თან გაიც მოგვედგვა, გიამ კიდევ, ნავემარები ბაგრატსო, და საქზე უტავა ხელო... არადა, იმორჩილებდა ის კაცი მანქანას... მერე მანქანა ბორდოურზე ახტა და ბუტკასაც გლიჯა ძალიან კობცად... შირალი იყო ასულტი, არ წვიმდა მაშინ. ნეტა ერთი საათით ადრე დანებებულიყო წვიმა, ექსპერიმენტის ჩასატარებლად არ ნაველოდით, რესტორანში დაგრეგოდით... ექსპერიმენტული რეზოლის შემდეგ, ისე იმ მოსახვევთან დასამარწყებლად მოთავარ ქუჩაზე უნდა გამოესლუიყავით. უფნებოდა გია, მთავარე ქუჩაზე ნუ გაუტყანო, თორემ გაი გამოვლის და დაგვინახავსო, მაგრამ ბაგრატმა, არაფერსაც არ დაგვინახავს, მე ვარ ატყნაო!

— მაშაყრებ? — ჰკითხა ხათუნამ მკვარსა და თვალეზში ჩააჩერდა.  
— ლანას თავს გეფიცები!.. ჩაფხა, ხომ?.. პოდა, რეზომ... რეზო რა იყო, ბაგრატმა... რეზო ერთ გაიშინეს ერქვა. პოდა, ბაგრატიც ადგა და ყველაფერი წამოუყრანტალა. შინაურულად გაიშინეს, რეზოს კი არ, მეორეს... ნაძლევის გასაპირებლად მოვეციდი, ასე და ასე საქმე, ამ რამდენიმე წლის წინათ, ბუტკა რომ გაიტახნესო და, მოკლედ, ყველაფერი...  
— მერე?  
— ტყუილი უთქვამს გას... არ მოუცია თურმე მაშინ ფული არავისთვის. თახსუთასი დამიჯდა ამ საქმის ჩაფარცხალი, რომ გვითხრა, გაგვებლატავა თურმე!.. აი ასე! — დაიფიცე!  
— ჩაფხა, ხომ, მაგას ვენავეცაღე?.. მოთხოვა ზღაპარი დაძინების წინ?  
— მერე?  
— საქმე არ დახურულა მაშინ და ძიებაც არ შეწყვეტილა თურმე...  
— მერე?  
— შეიდასი მანეთი თუ არ მოუტანა ხვალ საღამოს იმ მენტებს, გაიმ რომ გამოიძხა საქმის გასაიასნებლად და კიდევ სამასი თეთრი გაიშინეკეს არ ჩახხუტა, ჩასვამენ!.. ბუტკის აღდგენის ხარჯები მენტების ფულში არ შედის... — დაიფიცე!  
— ჩაფხა მინიც, არა?.. საზამთროს ბრალია, გელაპარაკები მე მენ!  
— უფურ შენ იმ ბებერს!.. მართლა ეგრე დააქროლებდა მანქანას?  
— უფრო მაგარადაც!  
— მაქვენ გასაგებია, მაგრამ ის ბებერი ასე რამ დაითრო, რომ ქუკუში აგყავთ?  
— ახლგაზრდობა გაჩისენა.  
— ტყუილი რატომ გვითხრა გიამ?.. არ სჩვეოდა ეგეთები, შოლოდ მეზობლებზე და მამამისის ძმაკაცებზე ამბებს რომ გვიყვებოდა მაგალითისთვის, მაშინ თუ გააბუტებდა... ერთი ფული მარლი უნდა მქვამოდი, ტყუილი არ უთქვამთ...  
— ერთი ფული მარლი და ერთი ბაგმეის მონათელა!  
— ჩაუთროს რონიმა.  
— ჩაი გაგვიკეთო?  
— გამიკეთე.  
— ნეტავ ჩვენ როდის გვეყოლება ჩვენი მანქანა?.. მაგრამ, მეშინია როგორღაც, სვამ ძალიან ხშირად.  
— კაცს ცხენი არ აყავდა და უნაგარს ეძებდაო... უნდა ვასესხოთ გას იმ ფულიდან, და უნაგარისთვის რომ გვაქვს გადავებული! — გადამეცეტილად თქვა უცებ რონინა და ცოლი რომ ამ ავეუტიბულოყო, გაულიმა. — იცის, რომ გვაქვს, და ეწყინება.  
სტოის, — ჩემთან მიოვდა გვლები, რომელსაც აშ ორმოცი  
წლის ნინათ ვანსაღლიდი იასნანი პოლინას სკოლაში. წიგ-  
ნი მთხოვა. მიეცეო. როცა დამბირუნა, ვთხოვე მინარასი მო-  
მიყევი-მეთქი. და მან შილოდ ის ადგილი მიამბო, სადაც  
სასწრმოებლავ ასული სვეტლოვუბი ეკითხება ჯალასა:  
— მე... შენ... არ გებრალეები?“  
ქრ. დოსუევი განავარძობს:

„ტოლსტოის ხმა აუთრთოლდა, ატირდა. შემდეგ თავს  
რომ მოერია, რალაცანიარად დარცხვენილად თქვა:  
— და მაშინ მე ვიფიქრე, რომ შესაძლოა, შილოდ ის  
ადგილი უნდა დამეტოვებინა, ვიფიქრე, რომ მოთხრობა-  
ში, ალბათ სხვა ყველაფერი უნდა წამეშალა...“  
„ო. ჩხეიძის მოთხრობებში ნასაშუბელი ცოტა როდია.  
კიდევ უფრო მეტი გვაქვს სადავო მის რომანებთან. მაგ-  
რამ მათში ყოველთვის არის ის — „მე... შენ... არ გებრა-  
ლები?“ — აი ბატონო ვუმბერ იმუღებულე გახვედი სრუ-  
ლად მომეტანა ეს ადგილი თქვენი სტატიიდან, რომ არ  
გაკონებოდათ გულსსმხირად არ გაუგიაო. და მაინც  
თთარ ჩხეიძის ნანერგები სულაც არ ისმის „მე... შენ... არ  
გებრალეები“. შედარება გააკეთეთ, დიდ მწერალთან,  
დიდ რუს მწერალთან, ძალანდ დიდათანც, მაინც ვერ გა-  
პატიეთ, მე — „ვიღაცა“ მკითხველმა. ნუ ეგონებო, რომ არ  
ინყინოთ ერთ თქმულებას მოგკიყეებით. ირანის მმრძანე-  
ბული ქუჩაში მოდოდან. და მხლებლებმა გაანთავისუფლეს  
გუსა. ერთი მათხოვარი გაეჯიუტდა, არ დაემორჩილათ.  
მმრძანებელი დაინტერესდა მათხოვართი და ჰკითხა,  
რად არ შემორჩილებდი. მათხოვარმა შეჰკადრა: შენს ზე-  
მოთ ვინ არისო? ალაპიო, უპასუხა მმრძანებელმა. ალაპის  
ზემოთ? არაფერიო, უპასუხა ისევ მმრძანებელმა. ის არა-  
ფერი მე ვარო თქვა მათხოვარმა და თავი ჩაჰკიდა.

„ჩოქე“ მოგწონებიათ, დიდადაც მოგწონებიათ, აბა  
ჩოქეს შეეხედით. იმეგითი თვალსაჩინოებთა დაბატუ-  
ლი მისი პორტრეტი“ — ასე წერო. — „პოოო... — ჩაფიქ-  
რდა ჩოქე, თითქოს ჩაფიქრდა თუ მართლა ჩაფიქრდა,  
იფიქრა, იფიქრა და ისევ შორიდან გამოიძახა:  
— იმას რაღა ერქვა?  
— ვინ იმასა? — შეეძუნდა ქალი.  
— უნდა რომ მოგვეკარე, ამაზე უწინა?  
— რად დროს გვ არის მამი?!  
— რა ერქვა-მეთქი?  
— გვიგ ერქვა, — ამირჩხა ქალი, — ლოვამ ყველაფე-  
რი იცის, ვერ შევეწყვეთ და გავცილდით, ლოვამ იცის.  
— იმაზე წინაც რომ მაობარბნე?  
— მამი?  
— რა ერქვა-მეთქი?  
— ეგვეც იცის არაფერი დამიშალნი... ვერ შევეწყვეთ  
და რ გუნა?  
— რა ერქვა-მეთქი,  
— რაც ერქვა ერქვა კივი ერქვა, სახელი მაინც არ მოგ-  
წონდა.  
— იმას რაღა ერქმევა?  
— გადამრესეს ეს კაცი, ვინ იმასა?!  
— ამის მერე რომ წამოუძღვებო?“



— იმას რაღა ერქმევა?! გავარდა ტყეისადავით მკითხველის გულში ჩოჩეს შეკითხვა. ხომ არ შევიბრალოთ ჩოჩეი ბატონო ფუმბერ. „ჩოჩეი ჩხუბის კაცი არაა, სხამაღალა“ რინიანი ვაგვეცი არაა, თორემ შინაგანი, ჩუმი ვაეკაცოვა, რომელიც, შესაძლოა, ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე საკუთარი სისხლით ევჯდეს სხეულზე, არ დაუკლავა მისთვის ღმერთი. ახლაც არ უნდა პირისპირ შეეჯახოს თავის შვილს. უნდა გაერდოს თავის ძირს, ვისი საქციელისაც ვერაფერი გაუგია“.

მინც შესაბრალო არ არის ჩოჩე. აკი „ტყეიაც“ ესროლა შეიძლება ამ ნოველიდან დაგერჩეს. როგორც თქვენ ბრძანებთ კრიტიკულ წერილში ბეგრ „ნასაშლელს“, რომ ნავლთით იმის მერე.

„გახსოვდეს კისი გორისა ხარ!“ აღმართა ხევისხერი, მოის ფრიალა ეკლთაზე აღიძარა, აღმართა მარადიულ რისხვად. შეივალა რომ არ აპატებს საძირს საქებს, იმ რისხვად. შერხა დრომა, ხალხი დადუმდა, დანაშავე ნაყენეს მამის ნაშა, მამისა და ხევისხერისა. სდუმს მამა, ცეცხლი ანთო იმის გულში, სდუმს მამა, მაგრამ ვერ დადუმდება ხევისხერი, ერის კაცე, ერის თავაკაცი. სათქმელი უნდა ითქვას, უღმობელი, მუწყალეული, მკაცრი. სათქმელი უნდა ითქვას, ვერაფერი რომ ვერ შეაკაცებს ის სათქმელი. ...და იძუწის ხმა, ხმა ოდნავ გაბზარული, მერე მსტკიცეს იძესს. ეს უკვე მამის ხმა აღარ არის, ეს ხმაა სასტიკი ხმა ხევისხერისა.

...და ისმის ხმა ჩოჩესი, ერისკაცისა, თავისი ერის ბედდობლი რომ მხრებზე უკლდია იმ ჩოჩესი.

„იმას რაღა ერქმევა?“

მ, არა ბატონო ფუმბერ, არ რაღაც სხვაა, აქ ფთქვაა იმ შერაღო არტიკიისა რაისც ქართული მწერლობა უქვია. გრწმობ, გრწმობ და ვერ გაუბედავ სიბრაულუსა. ვერ გაკანძირედე. ცუდი საქმე იქნება, კარგელობა იქნება. არც გამბედნიაო, შემედეგებით. მიკვდ ერთხელ შემახსენებთ: „კარგ მოქმელს, კარგი გამგონე უნდაო“. შედარება ხომ გაბედე, არ იყო კარგად მორგებული შედარება. არა ელერდა ლამაზად ფგ ვრახა. თუნდაც იმიტომ გაებრაზდი, რომ ლამაზად არა ელერდა. მერე ისიც მოუბატო, „ო. ჩხეიძის მოთბრობები „ნასაშლელი“ ცოტაა როდია. კიდევ უფრო მეტე გვაქვს სადაო მის რომანებთან“. მოდა ვერც მომერია, მომერია და უბის ნივანკაში ჩავეყარე. თთარ ჩხეიძე შებრალებს კი არა, შეყვარებასაც არავის არ სთხოვს-მეთქი. თთარ ჩხეიძე, უხადლო ქუმარტებებს გეყურებს, როგორც ოხოლ მარკალიტებს. ქუმმარტების შებრალება სად ვაგონდება-თქო. მერე ვერცერი მიმინელდა, არ გამქრობია, მაგრამ მიმინელდა. „ბის მიბრუნებაზე შეიძლებაოდა მიყრებულები ჯაგრითაო“. ასე წერს მწერალი. მისაბრუნებელი არსადაღა მჭირდა, ისეც თქვენს სტატიას დაუბრუნედი.

**რა არის ის გავრი, რომელიც თუჩავი „ნასაშლელი“.**

ამაბეი ხელოვნება არა ყოფილა, ხელოვნება სტილი ყოფილა. ამბავით თუ დახვედა, შავაგმარბიმი, კლოდ ფროლო თუ პამფლეტი ერთნი ყოფილან, ერთნარიი ერ-

თვარანი... დიდი ქმნილებანი სტილით განსხვავებულან, სტილი ხელოვნებაა, სტილი შემოქმედებაა... ასე წერს თთარ ჩხეიძე. ასე წერს ვასილ ბარნოვის სტილზე. „ქართულმა რომანმა არ იცოდა ასეთი სტილი, არც ასეთი ვაბედული ძიებები იცოდა. ძველი თუ ახალი ქართული პროზის გამოკვლელებანი როდი იკმარა, ძილისპირნა, ფსალმუნთა და საგალობელთა მულოდები ჩაუფრინა და გამოძერწა სრულიად განსხვავებული, საკუთარი, ახალი სტილი, ახლადახალი და მომზიბლავი, მომზიბლავი თათვი ვადსელებითაც; ვადსელები დაახლოებით ისეთივე გამოსვლია, რუსთაველის შირმა რომ იცის: მაღალი და დაბალი; ერთფეროვანებას ამიტომაც ასცილებია, განწყობილებანი თუ მოქმედებანი ვსადასხვა ტონით, განსხვავებული ტემპრით, ოღონდ თანაბარი სიძლიერით გამოყოფილა. დიდ განზრახვას დიდი სტილიც უნდოდა, დიდ სტილს დიდი ვადა, გულმოდგინე თავაუღებებითი შრომა უნდოდა, უკონდა უნარი თავგატეხებული შრომისა და შრომობა, ამიტომაც არ აღესებულა მისი ცხოვრება სათავგადასავლი ამბებითა, უცნაურა შემთხვევებითა, წარმოცაკი მულოდნელობებითა. ეს სხვა ცხოვრებაა, თავდადებული შრომის ცხოვრებაა, ცხოვრება ამაღლებული სულისა, კაცთა სულიერი ამაღლებისათვის თავდადებულისა“.

ჯანსუღ დღინჯლია კი თვისებრივად დაბეჯითებით გვირჩევეს თთარ ჩხეიძის სტილის ამბებს:

„თთარ ჩხეიძის ნაწერები მწლად იკითხება, მკითხველი და ლტერტურული საზოგადოებრივია, ვფიქრობ, დამეთანხმება ამაში. კითხვის სიძლიერე იმდენად აჰკარა, რომ, აღბანა, ავტორიც მშვენიერად გრწმობს ამას. ავტორმა ისიც მშვენიერად იცის, რას აკეთებს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უერთგულის არჩეულ სტილზე. ასე რომ, თუნდაც დასაბუთებელი შენიშვნაც მას მწლად თუ ააღვინებს თავის არჩევანზე ხელს“.

„ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს თავისში არსებული რაღაც დაუნგრეველისადმი მტკიცე რწმენის გარეშე“. ასეთია ფრანც კაფკას ორმოცდამეათე აფორიზმი. მწერალი — სტილია, რის უარყოფას მოითხოვს ვახსულღინჯლია? მწერალმა, რომელმაც შეუპოვრად ეძება თავისი გზა, თავისი მონოდედა, შეუპოვრად და უმიხედლ, იმ მწერალს სთხოვს შენი თათი უარყოფილი. მკითხველს სასიხებით უყვარს თავისი მწერალი, მწერალი — სტილით. სხვაგვარ თთარ ჩხეიძის ვერასოდეს შეევედბა მისი კითხვებში. მწერალში არსებული უძვეველესობაა და დღუნგრეველისადმი მტკიცე რწმენა, ძალას გვმატებს ჩვენი სულის წილსელებში არ შექმნილთ. არ დაერქით მარტო. რამეთუ მარტობისა განცდა სხვა არაფერია, თუ არა წუხილი იმის გამო, რომ ადამიანი ვერ უპოვებს ვერაფერთარ გამოძახილსა და გაგრძელებას სხვა ადამიანების სულსა და ცხოვრებაში.

თთარ ჩხეიძე უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ბედზე ფილოსოფიურად ჩაფიქრებული კაცია. ამიტომაც სწერს ვასილ ბარნოვზე: „...არ უყვარდა უარყოფითი, მტკიცე, არა უყვარდა სიავე, სიბოროტე, არ უყვარდა ისეთი არაფერი რაც დაამცირებდა ადამიანსა, ვყვალფერითი კეთილის საწყის დამეძება, ყველგან გულისხმობდა ამაღლებულსა, უნდოდა როგორმე დაეხსნა, გაემართლებინა ადამიანი. იყო ქუმმარტიკი მოძღვარი, სულის დასახსნე-



ლად მოვლენებულს; უნდა განენმინდა, განესპეტაკებინა, აემაღლებინა და შეუდგა განსპეტაკებსა...”

ოთარ ჩხეიძე არის ავტორი ნივნებისა, რომლებიც მოითხოვენ ადამიანებისაგან, ამაღლდნენ ადამიანობის დონემდე, ხოლო რამდენადაც ამ ამაღლების გზა ხულის სიღრმეზე გადის, ისინი მოითხოვენ ადამიანებს ჩიხედონ საკუთარი სულის სიღრმეში. ადამიანებს კი ხშირად სწორედ ამ „სიღრმისა“ და „სიმაღლისა“ ეშინიათ. ოთარ ჩხეიძის ნაწერები იმ რთული ბუნებისანი არიან, რომლებსაც მკითხველი ვერასოდეს გამოიყენებს „ჭორებისათვის“ ლიტერატურულ სამყაროში, „სულიერი სიმდიდრის“ ხალხურ გამოფენებზე. ამ ნაწერებს ვერ ნაიკითხავენ ვერც ავტობუსით მგზავრობისას, ვერც მატარებელში. ოთარ ჩხეიძის ნაწერებს მკითხველმა უნდა აზუქოს ის რაღაც ყველაზე ძვირფასი გააჩნია — დრო. და რიცა ამ ძვირფასს იმეტებს, იმეტებს აუცილებლად ყველაზე ღირსეულსთვის.

„კურდღელსა ზღაპრებიდან ახსოვდა გზაჯვარედინი, უსათოოდ გზაჯვარედინს უნდა მისდგომოდნენ კურდღელსა გმირებო, იქ ღლიდ ევლო, ღლდს ეწერა: მარჯვნივ ნახვალ იბარებ, მარცხნივ ნახვალ, ინანებო. გმირი რილსა გმირი იწებოდა, ძნელ გზას თუ არ დაადგებოდა; პოდა, რახან გმირი გახლდათ, აირჩედა მძიმე გზასა, სინანულსა გზასა აირჩედა და გააყვებოდა; გააყვებოდა და გაადეგრებოდა მრავალ ფათურასა, ყველას სძლევდა, ხან შავი დღეც დაადგებოდა, მაინც სძლევდა, გაიმარჯვებდა, დაჩაგრულს იხსნიდა, მტარვალს დასჯიდა, სიხარულით აღავსებდა მზეთუნახავსა“.

მწერლის მისია დიდია, დიდზე დიდიც, ეს კარგად იცის ოთარ ჩხეიძემ. „უმწერლოდ ცხოვრება დაიკარგებოდა, ცხოვრების ისტორია არავის ეცოდინებოდა, კაცთა ვნებას ვერავინ ჩასწავებოდა, სიცოცხლის აზრს ვერავინ გაიგებდა, სიძარბოებს ვერავინ მიიკვლიდა; ხასიათებს ვერავინ გააჩვენებდა“.

დაუძინებარი სახელაბი

გიორგი გოგოლაშვილი

„ჩვენ შენში ვგლოვობთ ჩვენს უნივერსიტეტს...“

პერსონაჟი ირაკლია ნარმოსათქმელი სიტყვა

ეს არის ღრავმენტი იმ სიტყვისა, ექვთიმე თაყაიშვილმა რომ უთხრა პროფესორ იოსებ ყიფშიძეს. ამ სიტყვის ერთ ნაწილს აქვე, საუბრის დასასრულს შემოგთავაზებთ. დიას, ეს უთხრა უფროსმა კოლეგამ უმცირის მეგობარს, რომელსაც „თავისი მაღალი მეცნიერული კიბე მაშინ ჩაენგრა, როცა მარტოოდენ პირველი საფეხურები ქოინდა ავლილი...“ ეს მთელი ჩვენი ეროვნული კულტურის უმძიმესი დანაკლისი იყო“ (სერგო ჯორბენაძე). შემომოყვანილი სიტყვა თუ ახალგაქრულ სამარცხთან ითქვა, ეს უკანასკნელი შეფასება ათეული წლების შემდეგ გაკეთდა. აზრი ერთია: „ოსებ ყიფშიძის სახით ქართულმა ხალხმა დაკარგა საუკეთესო შვილი, ქართულმა უნივერსიტეტმა — ნიჭიერი პროფესორი, ქართულმა ენათმეცნიერებამ — დიდი იმედი, მშობლებმა და ცოლ-შვილმა ოჯახის ბურჯი და ამხანაგებმა — ტკბილი მეგობარი“ (აკაკი შანიძე). თუ ვინმემ იცოდა ფასი ოსებ ყიფშიძისა, იცოდა აკაკი შანიძემ...

ეს მოხდა 1919 წლის 21 თებერვალს... ოსებ ყიფშიძე მხოლოდ 34 წლისა იყო...

ოსებ ყიფშიძე ქართულმა საზოგადოებამ, უპირველეს ყოვლისა, დაიტოვა როგორც ერთ-ერთი დამაარსებელი ქართული უნივერსიტეტისა. ამიტომ უთხრა დიდმა ქართველმა — შენში ჩავენს უნივერსიტეტს ვგლოვობთო.

1918 წლის 23 იანვარს პროფესორთა საბჭომ ჩაატარა არჩევნები. ამონაწერი საბჭოს სხდომის ოქმიდან.

„განაჩენი: ერთხმად არჩეულ იქნენ:

რექტორად დამასახურებელი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი;

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

პროფესორთა საბჭოს მდივნად პროფესორი ოსებ ყიფშიძე“ (პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917-1926\*, 2006)

ასე რომ, ოსებ ყიფშიძე მესამე პირთა ქართული უნივერსიტეტის უნივერსიტეტის იმედიად არ ჰყავდა პრორექტორი — ი. ყიფშიძე არის ფაქტობრივ მოადგილე რექტორისა.

ი. ყიფშიძე არის მოადგილე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანისა (ივანე ჯავახიშვილისა);

ი. ყიფშიძე არის ქართული ენის კათედრის გამგე.

კ. დანელიას თქმით, „თვითმხოველნი ირმუნებთან: როცა ის საუნივერსიტეტო საქმეებს ასრულებდა, მისთვის არავითარი დღლილობა, უძილობა, სიცოცხლე და შიშილი აღარ არსებობდა, ამასთან ერთად არავითარ შავ სამუშაოს არ ერიდებოდა, ხშირად, ძალიან ხშირად, რომ საქმე არ გატყაინებოდა, საბარგო ეტლებზე და ავტომობილებზეც კი იჯდა ხოლმე და მოფერ-მეტყველებთან ერთად მოაქანებდა უნივერსიტეტის შენობისკენ საქირ ავეჯს და მოწყობილობას მთავრობის მიერ გაუქმებულ სხვადასხვა დანესებულებებიდან“ (უკუდაგება მეცნიერის ღვანდისა: ი. ყიფშიძე, რწული თხზულებანი).

ვინც იცის ისტორია ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა, მოყოლებული 1907 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტი ქართული სტუდენტთა სამეცნიერო



წრის ღაარსებიდან 1918 წლის 26 იანვრამდე და შემდეგ, დაგვირგნინებდა: იოსებ ყიფშიძე იყო მარჯვენა ხელი ივანე ჯავახიშვილისა ამ დიდ ეროვნულ საქმეში...

იოსებ ყიფშიძის პეტერბურგში დიდ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. 1914 წლის 23 ნოემბერს მას მინიჭეს ქართული ფილოლოგიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი კამბიტალური მონოგრაფისათვის „მეტრული (ივერიული) ენის გრამატიკა“. ფრანგმეტრი ოფიციალური ოპონენტის — ნიკო მარის — რეცენზიიდან:

„აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტმა მის ავტორს მიანიჭა ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი. მაგრამ თუ ის წარდგენილი იქნებოდა ქართული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, მის ავტორს ისევე დამნიჭებულნი სინდისით შეიძლებოდა მინიჭებოდა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი, როგორც ახლა შე ვთვლი მას საესებით ღირსად ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ნიშნისა... 30 წლის ახალგაზრდას პრივატ-დოცენტის ნიშნებას აძლევენ და საპასუხისმგებლო საუნივერსიტეტო კურსების კითხვას ავალებენ, მაგრამ... იგი ტოლებს პეტერბურგს, იქაურ მომთხოველ კარიერას და 1917 წლიდან საქაოლდ იოსებ ნაზიფის დგამს — ჩამოღის თბილისში და ივანე ჯავახიშვილის გუერდით დგას, მულაზუხერელად იბრძვის უნივერსიტეტის დაარსებისათვის... რისკიან იმდენად, რამდენადაც იმეამად პერსპექტივა ქართული უნივერსიტეტისა ბევრს ემტყებოდა; ბევრიც ხელს უშლიდა.

მისი ღვანლის შესახებ ქართული მეცნიერების წინაშე არაერთგზის ითქვა და ითქმება კიდევ. მე მხოლოდ ერთს ვიტყვი: რომ შეიძლებოდაც აინონოს ღვანლი იოსებ ყიფშიძისა, ერთი მხრივ, როგორც მეცნიერისა და, მეორე მხრივ, როგორც მოღვაწისა, ალბათ შედეგი თანაბარი იქნებოდა. იოსებ ყიფშიძე იყო ქუმარიატად დიდი მოღვაწე და იოსებ ყიფშიძე იყო ქუმარიატად დიდი მეცნიერი.

1976 წლის 20 ნოემბერს „საერთაშორისო საუბრებში“ საჯარო ხელმა მიტყვენა იოსებ ყიფშიძის დაბადებიდან 90 წლისთავს. მომხსენებელი იყვნენ აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა. იმ სხდომაზე ბრძანა არნოლდ ჩიქობავამ: „იოსებ ყიფშიძეს რომ ეცოცხლა, ის ეწერგია, რაც გართულებულმა ურთიერთობებმა შეინარა, საქმეს მოზარდებოდა“.

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ იცის, რა გართულებულ ურთიერთობებზეა საუბარი და ისიც, ამ ურთიერთობებმა რა ეწერგია შეინარა. მკვეთრად გამოკვეთილი ორი საერთაშორისო სკოლის დაპირისპირება ფაქტია; არ იყო ეს პიროვნული დაპირისპირება - მას წინადა მეცნიერულ ხასიათს ჰქონდა და სწორედ ამან შეინარა დიდი ეწერგია... სხვა რომ არა იყოს, აკაკი შანიძეს მონაწილეობა არ მიუღია ისეთ

დიდ ეროვნულ საქმეში, როგორცაა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენა... და სწორედ აკაკი შანიძის თანდასწრებით თქმა იმისა, რაც მოგახსენეთ, არნოლდ ჩიქობავას მიერ — ეს იყო უდავო აღიარება ამ კლასიკოსთაგან იოსებ ყიფშიძისა, როგორც მეცნიერისა და პიროვნებისა...

იოსებ ყიფშიძე იყო უნიკალური მოვლენა ქართულ ენათმეცნიერებაში.

ზემოიწერეთში, სოფელ რგანში (ქიათურა) დაბადებული და ქუთაისში განსწავლული ყმაწვილი პეტერბურგიდან 1909-1912 წლებში ოთხჯერ იყო მივლინებული სამეგრელოსა და ღაზეთში მეგრულ-ლაზური ენის შესასწავლად. ერთი მეორეზე მან სამეგრელოში ამ ოთხი წლის განმავლობაში ექვს თვემდე დაყო, მაგრამ ეს საქმარისი აღმოჩნდა, რომ მას ბრწყინვალედ შესწავლა მეგრული და შეექმნა უნიკალური ნივთი „მეტრული ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“ (გამოქვეყნდა 1914 წელს. ავტორი ამ დროს 29 წლისა).

მანვე ბრწყინვალედ შეისწავლა ქართული. 1911 წელს გამოაქვეყნა „დამატებითი ცნობები ქართული ენის შესახებ“. ამ დროს 26 წლისა...

1917 წლის ზაფხულში კვლავ მივლინებულა ღაზეთში ამ მოგზაურობის შესახებ საინტერესოა და ვით კლდიაშვილის მოვანება. მოგვხსენებთ, და ვითი, როგორც ყიფშიძე ნარმოქნილმა, როგორც უმაღლო მცოდნე ქართული კილოკავებისა, ნამდვილი პროფესორისა და უმაღლო პიროვნება. ჩავიკითხავთ ამ მოვანებას — მოქმედება პირონიტში (ლაზური დასახლებულია) ხდება:

„მაცნობეს, ვილაც თქვენ კეთილშობილთო, გამოვედი ოთახიდან; ჩემს ნინ იოსებ ყიფშიძეს, მოგზაურის ტანსამოსში; ზურგზე პატარა ჩანთა, ხელში კოლოფი. — იოსებ! — მივაძახე ვაკვირვებულმა, — იოსებ, საიდან, რამ ვადმრავადო ვქექ!“

იგი მოვიდა სოფელ ვინედან ფეხით — სამეზაურ ტვირთის მზიდავის პატრონის თანხლებით. იგი მოგზაურობდა ლაზისტანში ქართულ-მეგრული შესწავლის მიზნით. მიხედა მომხმარ ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მათგან ჩაენარა ზალბური ლექსები, ზღაპრები და თხზულებები. მოვიხმე თავდაპირველად მოუხცი მუსტაფა. მუსტაფას ხან ქართულად, ხან მეგრულად გამოლაპარაკა, გულანის მუსაიფი გაბაბეს, მაგრამ როცა იოსებმა იხყო ნერა,



იოსებ ყიფშიძე



მუსტაფა რადაც შიშს მიეცა, ჩაწმდა და ითხოვა განთავისუფლება – ავად შევიქნენო. მოხუცებულს შიში შეეპარა, არაფერ სახიფათოში გაებათ და ვერასვლით წინანდელ ხალისზე ვერ მოვიყვანეთ. გაცხნივ ზღვის ნაპირზე დუქნებისაკენ: ამ გამოვლენივ მავად, დავაჯინე იოსებ, შემოუსხი ლახები და გამიარათა საუბარი. ლახები გაქირვებას იყვინე ყოფმიძის ლაზური კილოკავების ზედმიწევნით ცოდნით: თქვენ, პირონიტელები, ასე ხმარობთ ამ სიტყვას, არხავებმა ასე იცინა, ვინები ასე ამბობენ, სოფლები კი ამგვარად გამოითქვამენ. შეყრილი ხალხი ისე დინტერესდა, ისე ჩაიყოლა, შეხალისა, რომ პირდაპირ საყურებელი რამ სურათი იყო:

— გატაცებული მეცნიერი ამოძრავებულ ხალხს შორის. მეორე დღეს ყოფმიძე შევაჯინე ცხენზე, გაეაყოლე კაცი და გააგაგზაურე, როგორც მას უნდოდა, ხოვამი, კვლავის გასაგრძობლად. თან ნერილი გაუვჯახე ჩემს კარგ მეგობრებს კეკელა-ოღლესს და იმერია-აკ-ოღლესს, რომ ხელ უწევით იკრებისთვის, ზოფამი და მის მიდამოებში. ყოფმიძე ერთი კვირა დარჩა, გაფაციცებული შემოაბდა და დიდი პატივისცემა მოიპოვა მაცხოვრებლებში\* (დ. კლდიაშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1981.)

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება...  
 აი, ეს კაცი 34 წლისა გამოეცალა ქართულ მეცნიერებას, ქართულ უნივერსიტეტს. იცის ფასი იოსებ ყოფმიძისა მისგანვე დაარსებულმა უნივერსიტეტმა და ცდილობს ღირსი პატივი მიავის თავის უფროდ გამოცდილ ბურჯს. ამ ფაქტზე ყურადღებას ვამახვილებთ თუნდაც იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, დღესდღეობით იოსებ ყოფმიძე აღარ ახსოვს ქართულ უნივერსიტეტს. 2004 წლის გაზაფხულზე შეიქმნა იოსებ ყოფმიძის 120 წლისთავის საიუბილეო კომისია. ივარაუდებოდა: ძველის დადგამც უნივერსიტეტის ეზოში დამარსრებელთა ძველებს ვგვიერთო; იოსებ ყოფმიძის სახლის მინიჭება აუდიტორიისათვის; მისი შრომების მეორე ტომის გამოცემა; მის შესახებ წიგნის გამოცემა; ძველი ქართული ენის კათედრანზე შემორჩაილური კუთხის მონიჭება, სამეცნიერო სესიის გამართვა. იმსჯელა ამის თაობაზე საიუბილეო კომისიამ; ითქვა, რომ იოსებ ყოფმიძე ყოველივე ამას იმსახურებდა და მისი სხოვის წინაშე უნივერსიტეტი ვადიდებულა, ეს გააკეთოს... საიუბილეო სხდომა უნდა გამართულიყო 2005 წლის ოქტომბერში... მოვლენები იცნობა... უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა ქ-ნმა რუსუდანი ლორთქიფანიძემ 2005 წლის თებერვალში ბრძანება გამოსცა – საიუბილეო სხდომა 2006 წლის ოქტომბერში გამართოსო; ლონისძიებდა ნუსხა უცვლელი დარჩა. 2006 წლის აპრილიდან უნივერსიტეტს ახალი ადმინისტრაცია მოევიღნა (გიორგი ხუბუა და სხვანი)... შევახსენეთ ოფიციალურად, მაგრამ იოსებ ყოფმიძის იუბილე აღარ აღინიშნა; ჩაიშალა დაგეგმილი ღონისძიებანი... არადა, იოსებ ყოფმიძე მისივე დაარსებულ უნივერსიტეტისგან იმსახურებს უფრადლებას...

ზემოთ ვთქვი, ახალგაზნდელი უნივერსიტეტი შეძლებდაგვარად ცდილობდა ღირსი პატივი მიეყო უფროდ გარდაცვლილ დიდ მოღვაწისადმი, პროფესორთა საბჭოს ტუნენ ოქმები საკმაო ცნობებს გვანდინა ამის თაობაზე. მოვიყვინთ ცალკეულ ადგილებს.

**პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური #26. 8 მარტი, 1919წ.**

„ 2. განსახილველი საკითხი: პროფ. იოსებ ყოფმიძის ავადმყოფობა და გარდაცვალების გამო განუული ხარჯების დამტკიცება.

განაჩენი: პროფ. ი. ყოფმიძის ავადმყოფობის (5000რ.) და გარდაცვალების გამო (5917რ. 50კ.) განუული ხარჯები, სულ ათიათას ცხრაას ჩვიდმეტი მანეთი და ათი რუბრი დაუმტკიცდეს. ეს ხარჯი დაიფაროს მოულოდნელი ხარჯების მიხედვად.

3. განსახილველი საგანი: განსვენებული პროფესორის ი. ყოფმიძის ოჯახის უზრუნველყოფა მოხდავლიძი.

განაჩენი. თ) მიეცეს განსვენებულის მეუღლეს ევგენია ყოფმიძისას, თეიური სარგო პროფესორისა 1919 წლის დამტკიცამდე.

თანხა ამისათვის გაღებულ იქნას მოულოდნელი ხარჯების მიხედვად.

ბ) აღიძრეს შუამდგომლობა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა განსვენებულის ობოლად დარჩენილ ბავშვს გიორგის დაენიშნოს სტიპენდია, ან მიეცეს დახმარება ყოველთვიური.

4. განსახილველი საგანი: პროფ. ი. ყოფმიძის სახელობის ფონდის დაარსება.

განაჩენი: დაარსდეს უნივერსიტეტში პროფ. იოსებ ყოფმიძის სახელობის ფონდი.

საფუძვლად დაედოს მას განსვენებული მშობლების მიერ გვირგვინის ნაცვლად უნივერსიტეტისთვის შემოწორული სამასი მანეთი. ამავე მიზნისთვის გადაიდოს პროფესორ-ლექტორ-ასისტენტთა თეიური სარგო დასა-სამი შროცენტრი ერთი წლის განმავლობაში.

განსახილველი საგანი: განსჯ. პროფ. იოსებ ყოფმიძის სურათის ჩამოკიდება საპროფესორო დარბაზში.

განაჩენი: საპროფესორო დარბაზში დაიკიდოს განსვენებული სურათი.

9: განსახილველი საგანი: უნივერსიტეტის შენობის დეზინფექცია.

ეს საკითხი გამოიწვია იმ ვარემოებამ, რომ იყო რამდენიმე შემთხვევა გადამდები სენისა პროფესორთა და სტუდენტების შორის. მავალ. პროფ. ი. ყოფმიძე იმსხვერპლა შავმა სახადმა, იგივე სენი სჭირდა პროფ. ვ. ახლევდიანს. ლექტორი ა. ხარცე ავად იყო მუცლის სახადით...

10. განსახილველი საგანი: საბჭოს მდივნის არჩევა პროფ. იოსებ ყოფმიძის გარდაცვალების გამო.

განაჩენი: არჩეულ იქნას ა. შანიძე.

**პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური #29. 2 აპრილი 1919წ.**

10. განსახილველი საკითხი. თ) საბჭოს მოხსენად განსჯ. პროფ. იოსებ ყოფმიძის მეუღლის ნერილობითი მადლობა განსვენებული პროფესორის ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო უნივერსიტეტის მიერ განუული ხარჯებისა და დახმარებებისთვის.

ბ) საბჭოს მოხსენდა, რომ განსვენებულის ქვრივმა უნივერსიტეტს შემოსწირა ჭმისნეული დიკტოფონი ჩანერილი და ჩაუნერელი ფირ-ფიტოგებიითური.

განაჩენი: გამოეცხადოს მადლობა.



### დაუწინყარი სახელეპი

**პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური #441** „4“ იანვრის 1920ს.

7. განსახილველი სავანი: განსვენებული პროფესორის იოსებ ყიფშიძის ომლებს უზრუნველყოფისათვის.

განაჩენი: აღიძრეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, დათა განსვენებული პროფესორის მიერ უნივერსიტეტის დაარსების საქმეში დიდი ღვაწლის განტვის გამო მის ომლებს დაენიშნოს სტაჟენდია ანუ აღმოეჩინოს დახმარება.

**პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური #45** 2. 24 იანვრის 1920ს.

8. განსახილველი სავანი: იმავე ფაკულტეტის შუამდგომლობა, შექმნილ იქნეს განსვენებული პროფესორის იოსებ ყიფშიძის მერ გამოსაცემად დამზადებული საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი და აგრეთვე მეგრულ-ქართული ლექსიკონის სარჩევი და გაღებულ იქნეს ამისათვის 18000 მანეთი (თვრამეტე ათასი მანეთი). განაჩენი: შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნეს.

**პროფესორთა საბჭოს სხდომის დღიური #19**, 25 ოქტომბრის 1920ს.

14. განიხილეს რექტორის, პროფ. ივანე ჯავახიშვილის მოხსენება, რომ გამგეობას მოუვიდა განსვენებულის პროფ. იოსებ ყიფშიძის ქვერვის განცხადება ქონებრივი გაჭირვების შესახებ და გამგეობის აზრია, მიეცეს მას მთლიად ის თანხა, რომელიც განსვენებული პროფესორის სახელობის ფონდს შეადგენს.

დაადგინეს: საბჭომ დადასტურა გამგეობის აზრი და დაადგინა, მიეცეს განსვენებული პროფესორის ქვერვის ქ-

ვეგენია ყიფშიძისას მთელი თანხა, რომელიც პროფ. იოსებ ყიფშიძის ფონდს წარმოადგენს.

იმ წლებში (ოქმები 1919-1920 წწ. მოიცავს) სხვა ამაგადარი პროფესორებიც დაიტარა ქართულმა უნივერსიტეტმა, იოსებ ყიფშიძის მსგავსად — არავინ...

ვიმეორებ, ამ ოქმებიდან ჩანს ღვაწლიც იოსებ ყიფშიძისა და უნივერსიტეტისაგან ამ ღვაწლის დაფასების შეძლებისდაგვარი მცდელობაც...

საბედნიეროდ, იმეამინდელმა ახალდაარსებულმა და უსახსრო უნივერსიტეტმა რაც შეეძლო, კიდევ აღასრულა. სამწუხაროდ, ამეამინდელ უნივერსიტეტს, ბევრად უფრო სახსრიანს, რაც შეუძლია, არ აკეთებს...

ცხადია, იოსებ ყიფშიძის დიდ სახელს ეს ვერაფერს დააკლებს... ის იქვე ჩვენ გვჭირდება...

დაბოლოს, საუბარს დაგასრულეთ ნაწყვეტით ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვიდან, რომლის ფრგავნებაც სათაურად გამოვიტანეთ:

„ჩვენ დაეკარგეთ შენში არა მარტო სპეცილისტი ქართული ფილოლოგიისა, არა მარტო მკვლევარი საქართველოს წარსულისა, არამედ ერთი დამაარსებელთაგანი და სულის ჩამდგმელი ჩვენი უნივერსიტეტისა. არ ყოფილა საქმე უნივერსიტეტისათვის, რომელზეც შენ უარი გეტყვას, შენ მოახყვე და მოახსენიე რთული შინაური საქმეები ამ ახალი დანსებულებისა, შენვე მდივანი, შენვე მეურნე, შენვე მომხმარებელი კანცელარიისა, აუდიტორიისა, შემენი და მომტანი ავეჯისა... შენში გვლოკობთ ჩვენ ჩვენი თავს, ჩვენ უნივერსიტეტს, რომ დიდხანს ვერ ვიპოვით შენს მოადგილეს, მომხმარებელ ფილოლოგს, თავგანწირულ მოღვაწეს უნივერსიტეტისათვის“.

### გამოსხაურება

ვახილ კიკნაძე

## ნიჭიც და პოზიციაც

მრავალმხრივი ინტერესი გამოიწვია ჩემთვის უცნობი ავტორის ზვიად კვარაცხელიას დოკუმენტურმა თხზულებამ „ილია სამეგრელოში“ („ჩვენი მწერლობა“, 2008, 25, 26).

ნიჭიერი და გულმართალი კაცის დანერჩილია ეს დოკუმენტური პროზა. კარგად არის გააზრებული ეპოქის სინარტულ და თავისებურება... ტკივილით გვიყვება რუსულ პოლიტიკაზე, რომელიც საქართველოს სრულ დაშლაზე იყო ორიენტირებული. ფეოდალური საქართველო კი საკმარისზე მეტ საბაბს აძლევდა „მოყვარე მტერს“. სხვადასხვა კუთხეები ისე აღმაცერადა უსურებდნენ ერთმანეთს, რომ თითქმის ერთი არ ყოფილიყოს მათი ეთნოგენური კოდი. მაგონდება ო. ნერეთლის პიესა „ქორნილი იმერეთის თავადისა“, სადაც ქართლისა და იმერეთის ხანათები ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, გეგონებათ, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არიანო.

თბილისი ხომ ბაბილონის გოდოლივით იყო არეული ოდითგანვე. დედაქალაქში ქართველებმა ორმოცდაათ პროცენტს მივაღწიეთ მხოლოდ აგერ ახლა, არცთუ დიდი ხნის წინათ, 1960 წლისათვის.

როცა მე-19 საუკუნის თბილისს წარმოვიდგენ, მივიჩნევ, როგორ შეძლო სულ რაღაც 150-200 კაცმა (მწერლობა, თეატრი, პრესა და სხვა) მთელი ქართული კულტურის შექმნა. ერთი და იმავე ადამიანს უხდებოდა მრავალი საქმის კეთება. ისინი მტნლიად თეატრის ორგანიზაციებს გაერთიანებულნი, რადგან ილიას აზრით, „მაგის მტრე ნაციონალიზმის ნიშან-წყალი ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ იქნის და საჯაროდ მოქმედებს“.

ილია ყველაზე იყო. მარტო თეატრის დარგში რად ღირს. ილია გახლდათ დრამატული საზოგადოების პირველი თავმჯდომარე, ილია გახლდათ რეჟისორიც, თეატრის მმართველიც, თეატრის თეორეტიკოსიც, კრიტიკოსიც და პიესის დამწერიც. ეს მარტო სათეატრო სფეროში. სხვა ათასი საქმეც ხომ ევალა და ევალა.

ილია ტრავიკული პროფესია იყო, რადგან ძალიან კარგად იცნობდა თავის ხალხს და ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული, რაც მის ხალხს სჭირდა...

გულგრლად ვერაფერს ვერ ვკითხულობ ილიას შესახებ, მით უფრო, როცა ახალგაზრდა კაცი წერს, ისიც



დღეს, ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების პარტიულ აზროვნებად დაყოფისა და დაშლის ფაზა...

ახალგაზრდა მწერალს დაშვრელი აქვს არსი ილიას სამეგრელოში ჩასვლისა. ილიამ სამეგრელოში ეპოქალური ფრაზა თქვა: „სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვეცდავო“.

ფრაზა საეცად მრავალგანზომილებიანი ქვეტექსტებით. გასაოცრად ზუსტად არის შერჩეული სამეგრელოში ჩასვლის დრო, მიზანი და სიმბოლო, იგი ნაწილია მისი კონცეფციისა — „მამული, ენა, სარწმუნოება“.

ილიას ფრაზას მაგორი ძალა ჰქონდა, მისი სიტყვა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე რუსული იმპერიული პოლიტიკა. სამეგრელოში გაითავისეს ილიას სიტყვები და იგი თაობიდან თაობებში გადაეცა, როგორც უცუდავი ანდერძი...

ზვიად კვარაცხელიას მოთხოვნაზე ერთი საინტერესო შემთხვევა გამასხენა, რომელმაც მამინ ჩემზე დიდი მთავებდობა მოახდინა.

ბი-ბი წლებში კულტურის სამინისტროში ვმუშაობდი. ბშირად მინევდა რაიონის თეატრებში სპექტაკლების ნახვა. განსაკუთრებით მიხაროდა ზუგდიდში ჩასვლა, რადგან თეატრს ზელმძღვანელობდა შესანიშნავი თეატრალური მოღვაწე, განათლებული, ნამდვილი ინტელიგენტი საპა ეგუტია. ჩვენ დავმეგობრდით, მის კეთილ ოჯახშიც არაერთ ღამე გამოთვითა. თილისის უნივერსიტეტში დავცეა ზელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ბარისბი. პირველმა მოითია მოსკოვის არქივებში აღუქსანდრე იუჟინ-სუმბათაშვილის ნაშრომები, მოახერხა ქსეროკოპირება და მდიდარი მასალები ჩამოიტანა. დღემდე გულში ჩამრჩა მისი სიტყვები, რომ მან ნახა ფრიოლის ერთფორმიანი შრომა, რომელიც იუჟინისათვის გაუზგავნია გასაცნობად: დღემდე უცნობია ფრიოლის ის შრომა, დღესაც არ ვიცი, რა ბედი ეწია ფრიოლის ნაშრომსო.

სამა წლების მანძილზე დიდ როლს ასრულებდა ზუგდიდის თეატრის ცხოვრებაში. ერთხელ ზუგდიდში ყოფნის დროს, სამამ სტუმრად ნამოყვანა მის ახლობელ ოჯახში. შესანიშნავი სუფრა გამიპალა, მეგრული სტუმართმოყვარეობით მიმიღეს. მეც შესანიშნავ გუნებაზე ვიყავი, მაგრამ რატომღაც უცებ მოვიწყინე,

როცა შევნიშნე, რომ მასპინძლის დედა ქართულად ვერ ლაპარაკობდა. ძალიან გავლოზინდი. მანამდე ამგვარი შემთხვევა არ მქონია, სამამ იგრძნო ჩემი ემოციური რეაქცია და გადამომიხურულა: ნუ გიკვირს, ჩვენთან ასეთი შემთხვევები არისო.

შუა ქვიფის დროს განსაკუთრებული ჭკიტი ხელში სუფრასთან მოვიდა მასპინძლის დედა, მეგრულად რღაღა უთხრა თავის შვილს და თან ჭიჭა მიანოდა.

მასპინძელი ფეხზე წამოდგა, ჭიჭა ლენით გაავსო და თქვა: „დედაჩემი ჩვენი ოჯახიდან არცერთ სტუმარს ისე არ გაუშვებს, სანამ ამ საგანგებო ჭკიტი სტუმრებს ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოს არ დააღვინებს, ეს ჩვენი ოჯახის ტრადიციააო“.

იმდინად მოულოდნელი ამბავი იყო, რომ სკამიდან კი არ ავდექი, მგონი, პირდაპირ წამოეხტი. ვერ გავიგე, რას ნიშნავდა ოჯახის ასეთი ტრადიცია, რომლის მსგავსი არსად არ მქნება.

თამადამ განაგრძო: დედაჩემი ამბობს, რომ ილიამ გადაარჩინა სამეგრელო, როცა ბრძანა: „სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვეცდავო“. — ბატონო, თქვენ ილიას სამეგრელოში ბრძანდებით, სტუმრად, — მომართა მასპინძელმა და დიდი ჭიჭა მომანოდა, ჭიჭა სიხარულით დავცალე, ემოცია მომეძალა, ხელები დაუეოცენ მასპინძლის დედას.

ზვიად კვარაცხელიას დოკუმენტურ პროზას ახალი თაობებისათვის ისტორიული და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, იგი გონიერი ახალგაზრდის დანიერილია. რა ეარგია, რომ თურნალმა მხარი დაუჭირა მას.

ერთი რჩევა მაინც უნდა მიცეც ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს, მოერიდოს სიტყვების ხელოვნურ გართულებებს (მაგ. „მეგრულ კაცს ეოცეცა შეგნების უცებესი შემოზრუნება“, „გავლებული გრძნობის ბმულობა“, „თეატრალური ცხოვრებაც ასაძირკვლა“ და სხვა). მეტი ყურადღება მიაქციოს სტილის სრულყოფას, მთავარი კი ის არის, როგორც გალაკტიონი ამბობს მურმან ლუბანიძის ლექსში: „ნიჭი ძამიკო, ნიჭი“.

სწორედ ნიჭიერებითა და ეროვნული პოზიციით გამაზარა ახალგაზრდა მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ.



ილია ჭავჭავაძე «უფებისტყაოსნის» ტექსტის დამდგენი კომისიის სადომავე



ნოდარ ებრაღიძე

# ცხენჭურთი პირმხიარულად უნდა ითამაშო

თითქმის 11 წლის წინათ აბაშის საცხენოსნო სარბიელზე, სადაც ექვსწლიანი პაუზის შემდეგ ეროვნულ საბეობებში საქართველოს ჩემპიონატი ტარდებოდა, დილის ასპარეზობების შემდეგ ხნიერი, დარბაისლური, თანაც მხედრული იერის მამაკაცი ქომაგთა დიდ, აღგზნებულ კულეს გამოეყო და მომავალად; იმ დღის ისინდის პოლო თამაშის წერილმანებზე, როგორც ერთ-ერთ მსახვს, კოლხური ზრდილობით გამომელაპარაკა (ისინდოდა და ცხენჭურთიც მწელი სამსაჯო სახეობები; სადავო ამბებიც გამოურევა ბოლმე). თავი სენაკელ ნოე ლაშქარავად გამაცნო და ღიმილით დააზუსტა: „დემური ჩემი ვეთი, უკვე ოცდაათი მწელი სამსაჯო სახეობები; ისინდსა და მოგანს დასდევს პატარაობიდანვე; თქვენ რას ფიქრობ, გამოუვა რამე?“ მეც გამიღმა; ნამდვილად არ შეგადა იმ კაცს, ვინც „რამში“ მხოლოდ ცხოვრების „მონყოლას“ იგულისხმებდა. ეროვნულ ცხენოსნობაშიც ჩახედული და გამოცდილი ჩანდა და არც ჩემი პასუხი გამკვირვებია: მეტი რაღა უნდა გამოუვიდეს, ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის პრიზი (სულაც ცალ-ცალკე — ცხენჭურთსა და ისინდში) არაა დანესებული, თორემ დემური ერთი უკვეელი კანდიდატი იქნებოდა-მეთქი.

სხვა ამბებს აღარ გამოეკიდებოვართ. ის ასპარეზობა და მომდევნო წლის ჩემპიონატი (სამტრედიამი, ილორის სარბიელზე) ნამდვილად აღევირებდა იმის იმედს, რომ ქართული ეროვნული ცხენოსნობის აღმშენებელ თუ არა, ჩვენს სპორტში მისი კვლავ დამკვიდრება უნდა დანეგებულყო...

იმ საღამოს ეს საუბარი პირველობის მთავარ მსახვს, სერკ-გერმანიის ომის წლებიდანვე თბილისის ახალგაზრდობაში ცხენოსნობის სიყვარულის გამლევებელ სპორტსმენს, მხედრული თურბაშის აღიარებულ სპეციალისტს, ამჟამად რიატურაპიის მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს დიმიტრი ნეკრეაას მოუვეყვი. ბატონ დიმიტრის მამინ ძალზე სამიწოდ ესაბებოდა ხალხური ცხენოსნობის მომავალი. საერთაშორისო ასპარეზზე (ოლიმპიური მასშტაბითაც კი) ისინდისა და ცხენჭურთის გატანის რეალურ გზებსაც ეთიებდა.

— სწორედ ამ დროის მხედრული გაიტანენ ჩვენს თამაშებს მსოფლიო სარბიელზე. ეს თამაშები რომ ცხენის გახერხონ, ამ შვირფასი პირტყევის სპორტული ნუშაძლებლობების, მხედრული ხელოვნების გარდა, მამდვილე რაინდობის გამოვლენის ასპარეზია. მათ ისეთივე ზრუნვა სჭირდება, როგორც ჩვენი კულტურის

საგანმურის ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა ქართული ჭიდაობა, ხალხური ზოგნა, მუსიკა, ცეკვა... ისინი თავის თავში შეიცავენ ვაჟკაცური უროთიდანდობის, მეტოქის პატივისცემის აუცილებლობას, თორემ უამისოდ თამაში არ გამოვა. იგი ფაქტობრივად შუა საუკუნეების ნომადების დაუნდობელი უგლოვის, უხეში ძალის წარმოქმნის ზედახორად იქცევა. თვით ცხენჭურთის უძველესი ტყუპისცალი, აზოური (ინდური) წარმომავლობის პოლო, მიუხედავად მისი მთელ მსოფლიოში გავრცელებისა და უდიდესი მხარდაჭერისა, შედარებით შეზღუდულ ასპარეზობად წარმოგვიდგება (იქ ბრუნი ძირითადად მინაზე დაგორავს). პოდა, ამ თამაშის შესანიშნავ ოსტატებს შორის, რომლებიც, ჩვენდა სასიხარულოდ მართლ იმერეთ-სამეგრელოს რაიონების კი არა, თბილისის გუნდშიც ვხილეთ, დემურ ლაშქარავა ნამდვილად გამორეულია...

— ბასას არ გავგონებ? — გავუმტლავენ ჩემი შთაბეჭდილება, რადგანაც ახალგაზრდობიდანვე ვიყოფი დიმიტრის დიდი სიყვარული და პატივისცემა ფეხბურთის რჩეული დიდოსტატისა და პიროვნების ავთანდილ ლოლობერიძის მიმართ.

— თუმცე გულშემატკივრები სიყვარულით „აუღვს“ ეძახიან, ცხადია, მხოლოდ შავგერმანიის გამო არა, და ეს ბევრს მეტყველებს, პირველი შედარება ჩვენთვის ბევრად ბუნებრივია და ზუსტი მერყენბა, იგივე დახეხნილობა, გუნდის ერთგულება, მოედნის ხედვა, თავმდაბლობა, კორექტულობა, რაც ასე უხვად ჰქონდა მომადებული ბასას. იმასაც მოგავიწინე, რომ გამოჩენილი რუსი უფრანლისტი წერდა ბასაზე: პირველი წუთებიდანვე შეატყობ, რომ კარგად აღზრდილი კაციო!

რახან ასე უცებ თანამოაზრე ვყოვე, დიმიტრის შევახსენე 1991 წელს სენაკში, საქართველოს რესპუბლიკის I სპორტული თამაშების ფინალური შეხვედრა ცხენჭურთში, სადაც სამტრედიის მეგობრულ, ჩინებულად მომზადებულ გუნდს რომელმაც ისინდში გაიმარჯვა (პველ კაპანაძე, სერგო კანდელაკი, ოთარ მარგაიანი, კახა ბოხუა, ამირან ადივილი, მინია მუქე-რაია, მწერთელი — მურად ფანცხავა), ულამაზეს შეხვედრაში 12:11-ით მოუგეს სენაკელებმა (გიგლა, რომან, ბადრი, კობა ვარუაწები, ზურაბ ჩარგაზია, დემურ ლაშქარავა, მწერთელი — ავთანდილ ჩარგაზია). ამ თამაშში დემურმა 8 ბურთი გაიტანა (ეს რიცხვი საღამოთი დამიზუსტეს სენაკელმა მოზრთალებმა, როცა „ლელოსათვის“ რეპორტაჟს ვამზადებდი). დემურ-ყარი იყო ის ბურთი, რომელიც ლაშქარავამ მეორე ტაიმში („კამარაში“) სამტრედიელთა კარში („მაჰაში“) შეგდო (როდესაც ანგარიში 7:7 იყო). მან თავისი მაყიდან, ტყვედ მართვისა და მოგნის მხარების უმაღლესი ოსტატობით გაიარა მთელი მოედანი. ეს არ იყო ბედურის სიძვეირე ცხენზე მინდობლი „გაქცევა“ (ისინდოვით). ასეთი რამ იშვიათად ცხენჭურთშიც ხდება. აქ კი დემურმა გვერდი აუარა მონინაძემდეგეებს და თვალნათლვ გაიჭინა, რომ ჩვენს ეროვნულ ცხენოსნურ თამაშშიც დიდი შესაძლებლობაა ადამიანის იმ უნიკალური ნიჭის გამოვლენისა, რომელსაც სპორტის დსიკოლოგიის გამოჩენილი ამერიკელი სპეციალისტი პრაინტ ჯ. კრეტი



თავის წინგან (ფსიქოლოგია თანამედროვე საორბი", რუს. — 1976) მონათლამდეგების ან პარტნიორის მოძრაობის ანტიციპაციას უნოდებს (მოლოდინი, წინასწარჭერება, დასწრება. ამოსავალია ლათინური „ანტიციპარე“ — ლოდინი). აქ ლაპარაკია არა უკვე გამოყვეთილი, დაწყებული მოძრაობებისათვის საპირისპირო კონტრილითის შეგებებაზე, სულაც უბრალოდ დასწრებაზე, არამედ მომავალი ქმედების აღმქვერელი განწყობის (აქ უკვე ჩვენი მეცნიერის — დიმიტრი უზნაძის ცნება უნდა მოვიშველიოთ) ქვეცნობიერად ამოცნობაზე. ჩემი აზრით, სწორედ ამ ნიქსაც, ბურთის ვირტუოზულ ფლობასა და გამოჩრეულ ფიზიკურ მონაცემებთან ერთად, ეწყარებოდა ბორის ბაიჭაძის დრბონინგი; აგრეთვე ამით თუ აიხსნება ქართულ ქვიდაობაში ისეთი ფანდების წატარება, როგორის ძალიანად მრისხანე მეტოქე შეპირების ულაშაზეც ეპიზოდებში უწონადო თანამოხედვად გადაიქცევა ხოლმე.

სიტყვა გაგვიგრძელდა. არც მისტიკის მოშველიება მინდა. მხოლოდ იმას კი დაფუძნებ, რომ ცხენბურთში ეს ზემონახსენები განწყობა მხედარმა მეტოქის ცხენბიც უნდა ამოიცნოს და თავისი საფერზე კი ანაზღველად კონტრილითისათვის განწყობს. ისიც ცნადა, რომ სჯობს, ეს ვეღაფერი უზალოდ ასპარეზზე იბოლოს მანერქელმა (ეს ადრევე გაქართულებული და მეტე გაფართოებული მნიშვნელობის სიტყვაც ხომ სწორედ ცხენბისარბილეს ნიშნავს). მაგრამ — სად? როდის? აი, ამასზე პასუხის გაცემა კი ვამოხერხებ. აქ ახლა ვერ შევებებთი თბილისის (დელისის) იმადრობის გაუქმების ეპოქას (ეს დიდი და რთული, საქართველოს ცხენბონობისათვის, და არა მარტო ცხენბონობისათვის, საჭირობორტო თემა). ამჯერად ვერც ხალხური მხედრული ხელოვნების შორეულ თუ ახლო წარსულს გადავწვდებით. ამიტომაც მხოლოდ ზოგადი ანბებით შემოვიფარგლებით.

ქართული ეროვნული ცხენბონობის ფედერაციის მუშაობასაც კარგად ვიცნობ. ეს ფედერაცია 2004 წელს გამოიყო საქართველოს ცხენბონობის ფედერაციის, რომელიც 1999 წლიდან მსოფლიო ფედერაციის (ფეი) წევრია. ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ვადაცკორია, თბილისის „ოქციკლუბის“ ეროვნული თამაშების ახლად შექმნილი გუნდის, საქართველოს 1998-99 წლების ჩემპიონის, ნეკრი იყო (მგონი, სულაც — „უფროსი“). მალე კი, საქართველოს განათლების სამინისტროს თბილისის მოზარდთა და ბავშვთა საცხენბონო საორტსკოლის დირექტორად დანიშნეს. იმავე სკოლაში ეროვნული გუნდი შეადგინა (ელგუჯა ბუზტივიშვილის საონსორბით). მახსოვს, ყულარის ცხენბსაშენის თაფლა ფაშატზე ამხედრებული ალექო თანაგუნდელებთან ერთად ყოველ ვარჯიშზე როგორ ბეგნდა მებტეის ერთ ტაქტიკურ ილეთს, რომლის უზადლო შემსრულებლად დემურ ლაშქარავა მიანდათ.

ეროვნულ ცხენბონორ ფედერაციას ფართო მიზნები აქვს: ეს გვგმა მარტო ცნობილი ეროვნული თამაშებისა და ცხენთამოცდის (მარულა, დოი) ჩემპიონატების გამართვით არ ამოწურება (დასავლეთ საქართველოს

რეგიონებში მოქმედი ჩინებულ საორტსმენებისა და მწვრთნელების, უამრავი გულშემატკიცრის იმედით). თავისთავად ესეც უდიდესი საქმეა, მაგრამ ამის განხორციელება ყოველთვის როდი ხერხდება, რადგანაც ოფიციალური მხარდაჭერა აკლიათ. შარბან, მაგალითად, რახან წინა წლებივით საონსორი ვერ დაიბარეს, საქართველოს პირველობა ველარ ჩატარეს. წლებანდეი გეგმა საკმაოდ ვრცელია; ისევე ზემოთქმულს მიუბრუნდეთ — ფედერაციის სურს, მთელ საქართველოში შეისწავლოს სოფლად არსებული ცხენბონორი რესურსები; განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ტრადიციული სახალხო ზეიმებს მხედრული ელემენტიც ამქვენებს (ძირითადად დოი). მეტი საორტულ ცხენბონორი კულტურა შეიქნას ამ შეუცდებებში, ნახაბლისოს ცხენების შეპატრონებში, მხედრებში. მაგალითისათვის, წლებანდელ გეგმაში მონიშნულია ცნობილი სახალხო დღეობები, რომელთაგან ზოგი აქვე თბილისთან, სულაც ქალაქში იმართება: აპარნობა — მარტყოფი, დედგორბა — დილოში, ვეისობა — დედაქალაქის ვეისის უბანში, ივანობა — ყაზბეგში, ზეზვაობა — ახმეტის რაიონში, ზემო და ქვემო ალენებში. ასეთი საცხენბონო „ნერტილებს“ მოიხიება ახლაც გრძელდება; არც ახალი ასპარეზობების გამართვის შესაძლებლობაა გამორიცხვნილი. სანამ საცხენბონო საორტსკოლა არსებობდა, ა. ვადაცკორიას იქ ეგულეობდა საიმედო საყრდენი. ეროვნული ცხენბონობის სპეციალური სახალხო ჯგუფის შედგენას ვარაუდობდა. სკოლის მამონდელი პირობები ამ დიდი ეროვნული საქმის აღსრულების საშუალებასაც ქმნიდა. მაგრამ ეს სკოლა განათლების სამინისტრომ დახურა, „ოქციკლუბს“ მიუყვანა, რადგანაც მისი არსებობა დელისის იპორტის გაუქმებასა და გაყიდვას უშლიდა ხელს. მაგრამ ეს სხვა საუბარია, და ამჯერად მასზე ვერ შევერდებით. იმედად ისევე ცალკეული მენარმეების თანადგომა რჩებოდა. ერთ ასეთ შესაძლო კერად თელეთის მეძროხეობის ახალ ფერმას ვარაუდობენ, რომელიც ქვემო ქართლის სასოფლო-სამეურნეო მენარმეობაში საფუძვლიანად ჩართულ მთელი სვიმონიშვილს ეკუთვნის.

... „საორტულ ცხოვრებაში“ არის ასეთი ცნება — „გარეუბნის სტრეში“; ამას უბღლო გუნდზე, მის წევრებზე, ცალკეულ მიეწყებულ საორტსმენებსა თუ მწვრთნელებზე ამბობენ. ალექოს თავისთავად მთელი ეროვნული ცხენბონობა მიანწინა ამ სტრესით დათრგუნულად, მისი კონკრეტული წარმომადგენლების, პიროვნებების ბედიც აფიქრებს. დემურ ლაშქარავასაც ამჯერად მან შემახვედრა.

— აქელა! ჩამოვიყვანეთ; აბა, სენაკში ცხენბურთი და ისინდი კარგა ხანია, მოიკეთეს. დემური ერთხანს ფოთის, მერე ოზურგეთის გუნდებში იყო (კრეფ კარგ, საქართველოს იქით არსად თამაშობენ, თორემ ვინ იყის, სადაურსა სად ნაიყვანდა ბედი). თელეთის ფერმის ცხენბზე ჩავაბარეთ. ფართო არჩევანია. 2 წლის საუკეთესო სისხლის სადოლე კვიციც გვყავს, ანგლობალყარული ძლიერი ულაყივ, სტაროპოლიდან ადრე მოფრთხილებისათვის ჩამოყვანილი და აქამდე შემორჩენილი არაბული ფაშატიც, ადრე დელისის იპო-

დროშზე ნაჭენები ინგლისური ფაშატი „ერთგული“, ჯოგში გამოზრდილი ბანა ლურჯა ფაშატი თავის კვიციაზე და ასე შემდეგ. შეიძლება რაღაც მხედრული, მურენობისთვისაც და, საერთოდ, სოფლისათვის სასიკეთო საქმეების ნაშრონება — ცხენისური ტურიზმი იქნება თუ მხედრული საფუძვლების შემსწავლელი ჯგუფი, სულაც ხალხური თამაშების ანაზნის გაცნობა...

ეს ცხენები ამ ფერმაში ზაფხულის მინურულსაც მყავდა ნანახი. ახალი ფერმა იქვეა ფონიჭალის დასახლებასთან. ქვემო ქართლისკენ მიმავალი დიდი ტრასის მარცხენა მხარეს, ჩრდილო-დასავლეთიდან შეენახადას ნმინდა გიორგის საყდარი დამყურებს. ფერმაში მისვლისთანავე იგრძნობა მურის ხელი: საგულდაგულად შემოღობილი გარემო, მშენებარე სათავეები, ლევადებში თევზი ჩამდგარი, შვიცარიიდან ნაშობსმული დეკორაციები, გადახურულ სათივებში საწარმოოდ მოპარაგებული დანხილი თევზის შეკვრები, ყოველი სამურნეო ნაკეთის ნინ ჯაჭვით დაბმული ქართული ნავაზები (როგორც სისხლში აქვთ, გუმანი თამინე გრძნობენ სამშვიდობოდ მოსულ უცხო კაცსაც; მათი ნამდვილი „დაცვის სამსახური“ ღმით რომ აუშვებენ, მაშინ იწყება)... არ გვიკონა, თუ ვგრევე სპორტულ ვარჯიშს შევსწავლით: სამი ცხენი უკვე შეკაზმული იყო. დემურს სენაკიდან ჩოგნებიც წამოიღო. უკვე მოფერიანებულ ცხენებსაც აუცილებელ ვარჯიშს უტარებს და ფერმის ახალგაზრდებსაც ცხენოსნობის ანაზს, სულაც ცხენურთის ილეთებს ანაზის. თვითონაც ასე უღმერთოდ მივიწყებული ხალხური თამაშების ცალკეულ ელემენტებს „იხსენებს“. ასეთი ცალკეული ფანდების ფლობას თვით უროვნული ტრადიცია გულსიზმოს, საკუთრივ ცხენურთის გუნდური თამაშის ვარდა, რომლის ერთი მატრი ზემოთ მოკლედ მოვისწავთ კიდევ, არსებობდა ინდივიდუალური ასპარეზობებიც [კაპიტონ ნაჭყებამ ლიტერატურული და ხალხური წყაროების მიხედვით აღაფინა კიდევ ერთი მათგანი — რადი]. ჩვენს დროში ეს უფრო „საცხენურთო მოთელვაა“; საერთოდ, ცხენზეთი მხედრებისგან ჩოგნის ოსტატური ხმარება ცხენ-მხედართა პლასტიკის, სპორტული იარაღის ფლოზის ისეთ შესაძლებლობებს შეიცავს, რომ ჩრდილო ოსეთის (ე.ი. ნამდვილი ოსეთი) ცნობილი საცირკო მოჯირითების დასს [კანტემიროვებს] ერთ-ერთ ნორმად



დემურ ლაშქარავა დაკით ავალიშვილის ფოტოგრაფია

ხალხური ყოფისა და სპორტის უდიდესი მცოდნისა და მებრტობის არჩულ მეფის სტრიქონები:

**ჩოგნის მოხვეტა, მოზანდვა, სნორის ბურთისა გამოჭრა, ბურთობის დროს ასპარეზს პირმხიარულად გამოჭრა...**

ამ შემთხვევით შესწრებულ ვარჯიშზე ერთი თვისებაც შევნიშნე დემურს (მისი ღომილიანი თამაში, მადლობა ღმერთს, ადრეც შენახა), როგორც მწერთნელს. იგი ნამდვილად ეკუთვნის სპორტის იმ მასწავლებელთა იმეიათ ჯგუფს, რომლებსაც თავისი სახეობის სწავლება სრულიად არ მიაჩნიათ „შავ მაგიად“, მხოლოდ მათს და მათნაირ რჩეულთა საქმედ. ახალბედებში ისე იდგა, როგორც მათივე ტოლი, შენიშვნას ისე შეაპარებდა, თითქოს მონაფემ იცის, მაგრამ შემთხვევით შეცდაო...

\*\*\*

თავლამ მიჩვევა და მონატრება იცის. მით უმეტეს ფონიჭალამდე ავტობუსები მოძრაობენ. დემური ახლა



## სპორტი

უკვე შევჩინების შეფაში ვიზღუ. «ცხენს რომ არ გან-  
შენდს, ის რა შევჩინება. გაუნძემნდავზე რომ კაცი  
შეჯდებდა, არც ისაა მხედარი. მამაჩემი შევჩინებას არ  
გააცდენდა, ოთხი ვაჟი და სამი ქალი ჰყავდა, მაგრამ  
ამისათვის აუცილებლად მოიცილდა, გუდაუთა იწებოდა,  
ოჩანშირა, ჯალი, სამტრედია თუ აბაში, სენაკი ხომ აქვედა...»

ჩვენი ოჯახი თელავისათვის. ცხონებულ მამაჩემი  
მხედარი არ ყოფილა, მუშა ცხენები კი ყოველთვის გვყავ-  
და; მეკამერე იყო. ჩვენს სოფელში საუკეთესო კამერეები,  
მეორფასი, საყვარელი საქონელია. თბილისელებს აბაშიში  
გიქვს არა კამერის სულგუნე? მამაჩემის ხელობისათვის  
მე არ მილაღატია. კამერებიცა მყავს, ძროხებიც, ჩემი  
ცხენების პატარა ზრემაც ძოვს. მამთარ-ზაფხულ ცივის  
ჭალეში. ოჯახს ახლა მეუღლე და ვაჟი პატრონობენ.  
ქალი ვათხოვილია. შეიღობილს მიზრდის — ლუკა  
ბარკალაია. მე არა ვარ მოხეტიალე კაცი, მაგრამ ჯერ  
ცხენებს, ჩვენს ცხენბურთსა და ისინდს ვერ ვუჭებები.  
ახალგაზრდებსაც შემოძლია, რაღაც ვასწავლო. როგორც  
მე მასწავლიდნენ თავის დროზე სხვადასხვა თაობის  
დიდოსტატები — ეთქვათ, გვეჯე ივანიძე, ავთანდილ  
კიკანი, მარდონ ლაბაშია. ბავშვობაშიც ჩემი დავიწყებით  
გავეყვი ამ საქმეს. ღახი ლაშქარავა იყო სენაკში

საცხენოსნო კლუბის უფროსი. 11 წლის მივედი მასთან. 2  
წლის მერე ზედიზედ, ბახჩაროში, მარულაში გავიმარჯვე.  
მამინ 10 კილომეტრზე აჭენებდნენ. ბახჩაროზე ახლაც  
დავდივარ, მაგრამ დღის ვეღარ ვუყურებ, მწელი ტრასაა,  
ქვიანი. ბავშვი უფრო დაუნდობელია.

თქვენ რომ თამაშები მოიგონეთ, თბილისელებს  
გარდა, ყველა გუნდში ძირითადად ადგილობრივი  
ცხენები იყო. რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები ღირსები.  
სწორედ ისაა კარგი, რომ ეროვნულ სახეობებში სრული-  
ადაც არაა აუცილებელი წმინდა ხისხლის ბედაურები.  
დოლი სხვაა, ისე იქაც შეიძლება ლიმიტის დაწესება.  
მთავარია, ჩემპიონატები მოუწყოს ყოველ წელს, ახალ-  
გაზრდობა დაინტერესდეს, ხელი შეეწყოს ამ საქმეს.

თუ ჩემი ამბავი გაიტყუებებთ, მე მიყავს ჩემივე  
გახდენილი ცხენი ეს თამაში, მარულა არაა. შეზრდილი  
უნდა გაყავდეს, მხედრის გაფიქრებისთანავე უნდა  
გრძნობდეს, რა გააკეთოს, საიდან შეუტოოს მეტოქის  
მყავს. ასეთები მყავდა სულ. აბაშიში ტაქტიკიდან გამოსხ-  
ნელი ცხენზე ვიყვეტი, მაგრამ არ მოგწონდათ?..

ცხენები აქაც გამოწნდებიან. ჩვენს ფერმაში ბევრი  
ახალგაზრდა მუშაობს, ჩემსაკითხი ისინიც დასაქმეს.  
საქმე და სპორტი — ცხენოსნობა კი ეინ გაყო?

## ჩანახატი

### მამაჩემი დილიც დათიკო

1973 წლიდან მოყოლებული, ყოველ 8 დეკემბერს და 2  
აპრილს აქ იკრიბებოდნენ, ვეი დილიდის საფლავთან.

დიდი დრო გავიდა. ნელ-ნელა შეთხელდა მათი რიც-  
ხეი. ბოლოს ორნი დარჩნენ და ახალადაც მას შეეძლო  
აქ მოსვლა. მასაც უკვე უჭირდა მოძრაობა. ცალ თვალზე  
გლაუკომა გაურნდა. სინათლე მორე თვალშიც დაკავდა  
და ახლა ოპერაციის იმედად იყო. სახლის ნინ ქუჩა გადა-  
უთხარეს, აქაც ვერ არჩევდა გზას და გუმანით მოძრაობ-  
და. მაინც მოდიოდა. გული ენეოდა აქეთ, დაუფინყარი კა-  
ციის საფლავთან.

მინის ეს პატარა ნაკვეთი იმ საქართველოს ეკუთვნო-  
და, რომელიც აღარ არსებობდა ნგრევისა და შენების  
ომისა და დიდიომის ამ ჯოჯობათურ ქალსში. დედამინის  
ერთ შედექვებზე დაგროვილი სიძულელი მის პატარა  
ქვეყანას დაატყდა თავს და ადამიანის ადგილი აღარ რჩე-  
ბოდა ამქვეყნად. ხალხს ერთმანეთის აღარაფერი ესმო-  
და. ჩამოვარდნილია მშვილობა და მტერი ისევე იწყებდა  
შემოსვლას. რუსები კი არა, თითქოს უცხოზღანტელები  
შემოდოდნენ კავკასიონის ვერცხლიდან. კავკასიონიდან  
განსაკუთრებით გაბოროტებულ არაადამიანთა ჯარი  
იკავებდა დასახლებულ პუნქტებს, წვადა ტყეებს, ყვე-  
ლაფერს ანადგურებდა და კაცი გრძნობდა, რომ ამ ჯო-  
ჯობით სიცოცხლის ერთადერთი ორიენტირი იყო მე-  
გობრის საფლავისკენ მიმავალი გზა; პანთეონის ეკლესი-

აზე რომ გადაიოდა და თავფეხობდა აქ, სადაც მრავალი წე-  
ლი იკრიბებოდნენ და სადაც ახლა მარტოსული მიაბო-  
ჯებდა.

როგორ შეიძლება მეორედ დაბადო, როცა უკვე ასაკ-  
ში ხარ?

ეს კითხვა არ გამკრთალა მის გონებაში, ეს შეკითხვა  
ტრიალებდა პაერში, ეკლესიის ირვკლე. კაცი ღრმად არ  
იყო ჩახედული ეკლესიურ ცხოვრებაში, მაგრამ გულს  
უშეცდომოდ მოჰყავდა აქეთ; სიცოცხლის წყაროდ ქვეყ-  
ნა საფლავისკენ, სადაც ჯერ კიდევ ძვერდა ვარდასული  
დრო, სადაც არ იყო დარღვეული დროთა კავშირი; სადაც  
ანწყო ბუნებრივად იბადებოდა წარსულიდან და ასევე უმ-  
ტკინელოდ გადადიოდა მომავალში.

მიხედა, რაც სჭირდა ქვეყანას. ახალს ვერაფერს შეე-  
მნი, თუ პატივი არ მიავებ წარსულს და დაივიწყე გატობრის  
საფლავისკენ მიმავალი გზა.

ამ აღმოჩენამ გაუნათა გონება. 88 წლის კაცი ხელახ-  
ლა დაბადდა და ახალშობილის თვალთ შეხვეწეროდა ქვე-  
ყანას. ზაფხულის პაპანაქებებში მისი სხევი ლურჯად ცი-  
ციმებდა და ცეცხლად ავარდნილი ფერით პალიტრას  
ლურჯ-მომწვანო სიმშვიდეს ჰყვანდა. ცრემლს ვერ იტყე-  
და თვალთ, ცრემლი ეწვეთებოდა საფლავის მინას და  
ხსოვნის შუქ-რდელში გახვეული სახე ნაღვლიანი ღმი-  
ლით რაღაცას ეუბნებოდა მას. გულდინ მდიდოდა ეს  
იფუშალი სიტყვა და გამობატყავდა ადამიანის სრულიად  
ბუნებრივ, დასაბამიდან არსებულ ლტოლვას მეორე ადა-  
მიანისადმი, მეგობრობასში. ერთად გატარებული ცხოვ-  
რების საუკეთესო წუთებს მოიკავდა ის და ამ სიტყვას,  
ბენვის ხიდივით გაბმულს გულდინ გულში, სიყვარული  
ერქვა სახედად.



XX ს-ში, განსაკუთრებით კი ომის შემდგომ, აქტიურობით გახდა დაიღვრებულის პრობლემა იტალიურ ლიტერატურაში. პოეზია ვარ-დავიძინა, დეპრესიონალიზმი ლიტერატურაში ტრესკანური დიალექტის დომინაციას დასტურდნად მანძირნიძე. XIX ს-ის პოეტების კარ-პორტრასა და ჯუზეპე ჯოაკინო ბელის დაულაღვრა შრომებში მოხლოდ XX საუკუნეში გამოიღო ნაყოფი დიალექტი დაბრუნდა ლიტერატურაში როგორც ტრადიციული სალიტერატურო ენის არასრულყოფილების დადასტურება, როგორც ხალხის განძნაბების გამოხატუ-რის საუკეთესო სახელები. დიალექტი გახდა „პოეზიის ენა“ — ახალი მწერნი, ახალი სტილით, ფორმითა და გამოხატულების ახა-ლი ფორმებით. იგი უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი იყო ვიდრე ტრადიციული ანტიკური ან თანამედროვე ლიტერატურის ენა.

